რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 28 ოქტომბერი 1917

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. ხელმოწერა-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივად ზომის 3 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელნაწერები არ ებრუნდება. დაუბეჭდავ სტატიებს მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერის ფული და წერილები ფოსტით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 182 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 182

ამხანაგებო და მოქალაქენო!

29 ოქტომბერს მოხდება ქ. ლანჩხუთის საბჭოს ხმოსნების არჩევნები.

ხმა მიეცით სოც.-დემოკრატების
სიას № 1

1) **ებრალიძე ათანასე ხახას ძე**, სამაზრო ერობის აგრონომი, გურიის რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის წევრი. საგანგებო სარევოლუციო კომიტეტის და ლანჩხუთის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

2) **ქვიტაიშვილი ლუკა ვარას ძე**, მასწავლებელი. გურიის რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი. ლანჩხუთის რაიონულ კოლექტივის თავმჯდომარე. სარაიონო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი. ლანჩხუთის ორგანიზაციის წევრი.

3) **წილოსანი კოლია ივანეს ძე**, სავ. გიმნაზიის მასწავლებელი. გურიის რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის წევრი. ლანჩხუთის რაიონულ კოლექტივის პრეზიდიუმის წევრი—მდივანი. ლანჩხუთის რაიონის საადგილ-მამულო კომიტეტის და ლანჩხუთის საგანგებო სარევოლუციო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი, ლანჩხუთის ორგანიზაციის წევრი.

4) **მესხი სიმონ ივანეს ძე**—სავაჭრო გიმნაზიის დირექტორი.

5) **ცინცაძე პარმენ ზაალის ძე**—მუშა, აღმასრულებელ კომიტეტის წევრი, სარაიონო მომრიგებელ კამერის თავმჯდომარე, ლანჩ. ორგანიზაციის წევრი, საგანგებო სარევოლუციო კომიტეტის წევრი.

6) **ებრალიძე ბართუნ ხახას ძე**—მუშა, აღმასრულებელ კომიტეტის და ლანჩ. ორგანიზაციის წევრი, საგანგებო სარევოლუციო კომიტეტის წევრი.

7) **დარახველიძე ალექსანდრა ვლასის ასული**—საქ. გიმნაზიის მასწავლებელი, აღმასრულებელ კომიტეტის და საგანგებო სარევოლუციო კომიტეტის წევრი, ლანჩ. ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრი.

8) **ცინცაძე ეპიფანე ზურაბის ძე**—მუშა, ლანჩხუთის რაიონულ კოლექტივის პრეზიდიუმის წევრი, საგანგებო სარევოლუციო კომიტეტის წევრი, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

9) **ლობჟაძე ეკატერინე მათეს ასული**, საქ. გიმ. გამგე, ლანჩხუთის ორგანიზაციის წევრი.

10) **ლოლაძე ნინა გრიგოლის ასული**, საქ. გიმნაზიის მასწავლებელი, ლანჩხუთის ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრი.

11) **ცინცაძე ალექსანდრე ფრიდონის ძე**, მასწავლებელი, აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე, ლანჩ. რაიონულ კოლექტივის თავმჯდომარის ამხანაგი, სარაიონო საადგილ-მამულო კომიტეტის მდივანი, სარაიონო სასურსათო კომიტეტის და ლანჩ. ორგ. წევრი.

12) **თარგამაძე ილია ხუტუნის ძე**, საქ. გიმნაზიის მასწავლებელი.

13) **ებრალიძე ვარლამ გიორგის ძე**, ხე-ტყის მრეწველი.

14) **კალანდარიშვილი თაკინე**, მასწავლებელი, ლანჩ. კოლექტივის წევრი, სარაიონო სასურსათო კომიტეტის მდივანი, აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.

15) **მენდარიშვილი ზოსიმე**, მუშა, აღმასრულებელ კომიტეტის და ლანჩ. ორგანიზაციის წევრი.

16) **ქერქაძე მელიტონ**, ვაჭარი, ლანჩხუთის ორგანიზაციის წევრი.

17) **წილოსანი დიმიტრი**, ხე-ტყის მრეწველი, აღმასრულებელ კომიტეტის და ლანჩხუთის ორგანიზაციის წევრი.

18) **ებრალიძე შალიკო**, მუშა, ლანჩხუთის ორგანიზაციის წევრი.

უპარტიონი—თანამგრძნობნი:

19) **ჩხაიძე გიორგი ხარიტონის ძე**, მღვდელი სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

20) **ანთაძე ალექსანდრე გიორგის ძე**, ექიმი.

ს. ხაჯალიაში 29 ოქტომბერს, დილით კვირას გადასვენებულ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფასი მამის

გიგო ბიჭიას ძე მნელაძის

რასაც აუწყებენ ნათესავთ ძმ. ს შვილები ილარიონ, ანტონ, ვალოდი სამსონ და დიმიტრი მნელაძეები.

ს. ხაჯალიაში 29 ოქტომბერს, დილით კვირას გადასვენებულ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვლილი პრაპორშჩიკი

აკაკი ანტონის ძე მნელაძის

რასაც აცნობებს ნათესავებს და მეგობრებს ღრმათ დამწუხრებული მშობლები ანტონ ივანეს ძე და ვარვარა ივანეს ასული მნელაძეები შვილებითურთ.

გაიხსნა ახალი
ქართული სრულუფლებიანი გიმნაზია

ორივე სქესის ყმაწვილთათვის

ამთავათ მიიღებიან მოსწავლენი I კლასში და მოსამ. განყოფილებებში.

ფასი სწავლისა I კლასში 200 მან. განყოფილებებში 150 მ.

თხოვნა მიიღება ყოველდღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე. უკეთეს პირადად სასწავლებლის კანცელარიაში.

ვერა, არაგვის ქუჩა, სახლი სიმონოვისა № 2.

10—7 დამფუძნებელნი სიმონ და თეკლე მრავალიშვილი.

პური

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებანი 27 ოქტომბრიდან მიიღებენ ახალ-ახალ პურის ბარათებს ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროსაგან, რისთვისაც უნდა წარადგინონ ძველი ბარათი ადრესით.

იმ ორგანიზაციებში და დაწესებულებებში, რომელშიაც ბევრი მოსამსახურე მუშაობს, შესაძლებელია გახსნილ იქნას პუნქტები პურის ბარათების დასარიგებლად.

ამისათვის საჭიროა ნაკლებ ხანში წარმოდგენილ იქმნას განცხადება პურის ბიუროში, სადაც ნაჩვენები იქნება საჭირო ბარათების რაოდენობა.

5—2

ქალაქის სასურსათო გამგეობა.

ახალი კრიზისი

პეტროგრადი ბოლშევიკების ხელშია.

საზამთრო სასახლე, სადაც მოთავსებული იყო დროებითი მთავრობა, ბოლშევიკების ჯარმა იერიშით აიღო. დროებითი მთავრობა დაპატიმრებულია. დაპატიმრებულია ყველა მინისტრი, გარდა კერენსკისა, რომელიც მთავარი სარდლის ბანაკში იმყოფება.

რევოლუცია დიდ კრიზისს განიცდის. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პეტროგრადის გამოსვლა რამდენიმე ვიწრო ჯგუფის საქმეა. ლენინელები ამბოხების სათავეში მოექცნენ, მაგრამ მისი მიზეზები ღრმათ მარხია რუსეთის მწვავე სინამდვილეში.

კოალიციონურმა მთავრობამ, რომელიც დემოკრატიული თათბირის შემდეგ მოეწყო, დემოკრატიასთან კავშირი სავსებით გაწყვიტა. მოიგონეთ გარეშე საქმეთა მინისტრის ტერეშჩენკოს სიტყვა, რომელიც მან რესპუბლიკის საბჭოში წარმოსთქვა. ეს იყო მთელი დემოკრატიის საწინააღმდეგოთ გამოწვევა. რუსეთის დემოკრატია ზავის ჩამოგდებას მოითხოვდა, მხოლოდ ტერეშჩენკო მოკავშირე სახელმწიფოებთან სრულ სოლიდარობას მოითხოვდა. ეს მოასწავებდა ინგლისის იმპერიალიზმის წინაშე მუხლ-მოდრეკას და ზავის დიდი ხნით დამარხვას. დემოკრატია ფართო რეფორმებს მოითხოვდა, მხოლოდ დროებითი მთავრობა ბურჟუაზიის კარნახს ემორჩილებოდა და მშრომელ ხალხთა მოთხოვნილებებს უყურადღებოდ სტოვებდა. აი ნიადაგი ამბოხებისა.

აჯანყების სათავე დროებითი მთავრობის პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ის, რაც ამ დღეებში მოხდა, ამას კი ხანია ვუცდიდით. ეს აშკარა იყო დემოკრატიულ თათბირზე. ამიტომაც იყო ჩვენი ამხანაგები დიდ ნებით მოითხოვდნენ კოალიციონური მთავრობის გადაყენებას და დემოკრატიული მთავრობის შედგენას, მაგრამ ამაოთ. თათბირის უმრავლესობამ სხვა გზა აირჩია და მით დემოკრატია ორად გათიშა. ასეთ პირობებში მომწიფდა ნიადაგი პეტროგრადის აჯანყებისა. რევოლუცია დიდ კრიზისს განიცდის.

რა გზას უნდა დაადგეს რევოლუციონური დემოკრატია?

მას არ შეუძლია კერენსკის მთავრობას და მას სრული ნდობა გამოუცხადოს. ფაქტიურათ დროებითი მთავრობა დაეცა. კერენსკის ბანაკში დგომა—ეს იქნებოდა პროლეტარიატის გათიშვა და მისი დაუძლურება, ხოლო ეს რევოლუციის აუცილებელ დამარცხებას გამოიწვევდა.

მეორე მხრივ, აჯანყების მეთაური ლენინელები კომუნისტებად იქცევიან. მათი მიზანია არა მხოლოდ დროებითი მთავრობის დამხობა და დემოკრატიული ძალა-უფლების შექმნა, არამედ მსოფლიოში სოციალური რევოლუციის გამოწვევა და კაპიტალიზმის დასამარხება. ეს უტოპიაა. ევროპის პროლეტარიატი ამ ხანად სუსტია, რომ მან შესძლოს ძირითადი ცვლილების გამოწვევა და ბურჟუაზიული წყობილების დასამარხება. ლენინელთა ლოზუნგები სინამდვილეში ყოველგვარ ნიადაგს მოკლებულია. მაგრამ საკმარისია ბოლშევიკებმა, თუნდაც სიტყვიერად, კომუნისტური ნაბიჯი გადადგან, რომ მთელი საზოგადოება, სწორეთ შუა ფენა, წვრილი ბურჟუაზია ამხედრდება და რევოლუციას გამოეთიშება. ამით ისარგებლებს ახალი კორნილოვი და, მსგავსად ტიერისა საფრანგეთში 1871 წ., მუშათა მოძრაობას სისხლში ჩაახრჩობს და რევოლუციის ნანგრევებზე კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზიის ბატონობას განამტკიცებს. აი რა დიდი საფრთხის წინაშე იმყოფება ამჟამად რუსეთის რევოლუცია, აი რატომ არ შეუძლია დემოკრატიას ლენინელთა გვერდში ამოუდგეს და მათი გზა თავისად იცნოს.

დემოკრატიის გაერთიანება რევოლუციის ხსნაა. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ არაფერს არ უნდა დავერიდოთ. რევოლუცია დაიღუპება თუ სამოქალაქო ომი გაჩაღდა. აშკარათ მუშათა კლასი განმარტოვებული დარჩება და მით რევოლუციის დამარცხება გაადვილდება. სამოქალაქო ომი რუსეთს დაქუცმაცებს და ანარქიას შექმნის, რასაც კონტრ-რევოლუციის გამარჯვება მოჰყვება. ამიტომაც არის დემოკრატია ვალდებული ძალღონით უნდა ეცადოს, რომ პეტროგრადის გამოსვლა შეთანხმებით დამთავრდეს. დროებითი მთავრობა დაეცა. საჭიროა ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობის შედგენა. ასეთი იქნება მხოლოდ დემოკრატიული მთავრობა. ბოლშევიკები ითხოვენ მთელი სახელმწიფო ძალა-უფლების საბჭოთა ხელში გადასვლას. ეს იქნება დემოკრატიის ერთი ნაწილისათვის ომის გამოცხადება. ასეთი ლოზუნგი დემოკრატიის გათიშვას მოასწავებს. მას უნდა დაუპირდაპირდეს მეორე ლოზუნგი: მთელი ძალა-უფლება დემოკრატიას. როგორც საბჭოები, ისე თვით დემოკრატიული თვითმმართველობანი, ყველა ის ჯგუფი, რომელიც თავისი წარმომადგენლობით ფართო დემოკრატიულ ფენებს ეკუთვნის, უნდა მონაწილე იქმნას მთავრობის შესადგენად და რევოლუციის გასამტკიცებლად. ეს იქნება კრიზისის დემოკრატიული საშუალებებით დაბოლოვება და კონტრ-რევოლუციონერთა განცვიფრება.

დადგა დიდი წუთი. მუშათა კლასი და გლეხობა, მთელი დემოკრატია ვალდებულია ეცადოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დაბოლოვებას და მით რევოლუციის გაძლიერებას.

დამფუძნებელი კრება და მთავრობის კრიზისი

დიდი ამბების მოწმენი ვართ. პეტროგრადის მუშები და გარნიზონი მთავრობას იღებენ ხელში.

8 თვის შემდეგაც რევოლუციამ გარდა ფართო თავისუფლებისა, რომელიც ძლიერი იარაღია მუშათა კლასის ხელში, ვერ მოგვცა ეკონომიურ სფეროში დამაკმაყოფილებელი შედეგები. ზავი და ეკონომიური მოწესრიგება ქვეყნისა ისეთივე მწვავე საკითხებად დარჩენილა, როგორიც იყო რევოლუციის პირველ დღეებში.

აქედან წარმოსდგა ის ძლიერი უკმაყოფილება ფართო მასსის, ის ძლიერი მოძრაობა, რომელმაც საშუალება მისცა პეტროგრადის მუშათა და ჯარის-კაცთა მართვა-გამგეობის საბჭოებს დაპატრონებოდნენ.

ეს დიდი კრიზისის დასაწყისია მართვა-გამგეობაში, და როდის ან რით დამთავრდება იგი, ამის თქმა ძნელია.

მაგრამ ამ წამით მე ამ კითხვის გადაჭრას არ შევუდგები.

ჩემი წერილის საგანი სულ სხვაა.

როგორც უნდა იყოს ეს კრიზისი, ერთი ცხადია, ნათელია, შემოქმედებითი მუშაობის დაწყება შეიძლება მხოლოდ იმ დღიდან, როცა ხალხის არჩეული წარმომადგენლობითი დაწესებულება, დამფუძნებელი კრება შეიკრიბება.

ვინც უნდა იყოს ძალა-უფლების მპყრობელი, დამფუძნებელი კრების გადადება არავის შეუძლია. ხალხი, მასსა, გლეხი და მუშა, მოქალაქე და წვრილი მესაკუთრე, ყველა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს დამფუძნებელ კრების მოახლოვებას, ყველას სანატრელად აქვს გადაქცეული მისი მოწვევის დღე.

პეტროგრადის კრიზისი დატრიალდა სწორედ იმ დროს, როცა სამზადისი დამფუძნებელ კრების მოწვევისთვის უკვე დაწყებულია.

ამის შეჩერება ახლა, ნიშანი იქნებოდა მასსის გულის გატეხის, მისი იმედების გაცრუების. ვერც ერთი მთავრობა ვერ გაბედავს დღეს დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ წავიდეს.

ამიტომ ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა შევანელოთ ამ მხრივ მუშაობა. პირიქით დღევანდელი მდგომარეობა თხოულობს ერთი-ორად, მეტი ენერგიით ჩავებათ ამ საქმეში.

დამფუძნებელი კრება უნდა თავის დროზე იქნეს მოწვეული. მისი არჩევნები უნდა დანიშნულ დროზე მოხდეს. ყოველი პარტიის წევრი, ყოველი შეგნებული მოქალაქე, ყველა, ვისაც სურს განმტკიცება თავისუფლების და დაცვა რევოლუციის, დღეს ათასჯერ უფრო ვალდებულია არჩევნების წესიერათ და დროზე ჩატარებას ხელი შეუწყოს.

ამხანაგებო! განაგრძეთ მუშაობა დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის! გაათკეცეთ თქვენი ენერგია. ამას თხოულობს თქვენგან მოვალეობა მოქალაქის და რევოლუციონერის, ამას თხოულობს ინტერესი მუშის და გლეხკაცობის, მთელი დემოკრატიის.

პეტროგრადის საბჭოების გამოსვლის გამო

პეტროგრადის რევოლუციონერ საბჭოების გამოსვლამ რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტიები აალაპარაკა და თვითეული ამათგანი მათ ასეთ გამოსვლას თავისებურათ აფასებს. განსაკუთრებით მეტ წინააღმდეგობას და უზომო აღშფოთებას იჩენს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ზოგიერთა ლიდერები. დროებითმა მთავრობამ მინისტრ პრეზიდენტ კერენსკის პირით პეტროგრადის გამოსვლების მეთაური ბოლშევიკები „სახელმწიფოებრივ მოღალატეების" სახელით მონათლა და მთელს რუსეთს მათ წინააღმდეგ მოუწოდებს. ზოგიერთმა სოციალისტ-რევოლუციონერებმა ბოლშევიკების ტაქტიკური შეცდომა უდიდეს ბოროტებათ გამოაცხადეს და უკანასკნელები რევოლუციის მტრებათ გამოიყვანეს.

მაგრამ არც ერთ რევოლუციის ხანაში, არც რევოლუციის დროს პროლეტარიატის უდროოთ გამოსვლა, თუნდაც უდროოთ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება არც ერთ სოციალისტურ პარტიას და არც ერთ სოციალისტს რევოლუციის მოღალატობის აქტათ არ ჩაუთვლია. მაგალითისათვის გაიხსენეთ საფრანგეთის კომუნარების 1871 წელს უდროოთ სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების საქმე. განა მათ ასეთ დროის შეუფერებელ გამოსვლას რომელიმე იმ დროის ან დღევანდელი სოციალისტი რევოლუციის მტრობათ ჩათვლის და მათ კონტრ-რევოლუციონერებათ მონათლავს? პირიქით კონტრ-რევოლუციონერები და რევოლუციის დაუძინებელი მტრები ისინი იყვნენ, რომლებმაც გაამეფეს, ავანტიურისტ და ძველი მინისტრების ნაშთ ტიერის მეთაურობით პარიზის კომუნარები დაამარცხეს და პარიზის ქუჩებზე 30 000 მუშა სისხლის მორევში ჩაახრჩეს. აი სწორეთ უკანასკნელების წინააღმდეგ იყო ამხედრებული მარქსი, ენგელსი და არა კომუნარების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთ ისინი თავდადებულ მებრძოლთ ეძახდნენ და რევოლუციის მტრებს.

ყოველ რევოლუციაში მასსის სტიქია ძლიერია, პროლეტარიატი თავის საბოლოო მიზნების განხორციელებას უახლოეს მიზნათ ისახავს. ამიტომაც მას ხშირათ მარცხი მოსდის და მარცხდება. ეს ტაქტიკური შეცდომა, ეს საზოგადოებრივი ძალთა-განწყობილების შეუგნებელი დაფასებაა. მაგრამ ამ შეცდომით ლიდერებისათვის და მდგომარეობის გაუგებრობის გულისათვის მათ მოღალატეთ არავინ სთვლის და რევოლუციის აშკარა მტრათ არავინ არ ასახელებს, როგორც ამას ჩვენი სოციალ-რევოლუციონერების ზოგიერთა ლიდერები.

ამ შემთხვევაში ყოველ ზომიერებას და უტაქტობას გადააჭარბა კავკასიის ფრონტის ჯარების კომისარმა ვლ. გობეჩიამ. მან კავკასიის ჯარების ყველა სალდათთა საბჭოებს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „კრიტიკულ მომენტში, როცა რუსეთის მრავალტანჯული ხალხის მტერი კარს ადგა და პეტროგრადს უმუქრება, სწორეთ ასეთ დროს უბედურნი და უტვინონი, ზავის, მიწის, ქონების და სამართლიანობის ლოზუნგებს ამოფარებულნი—ამხედრდნენ და რევოლუციისა და დროებითი მთავრობის დამხობა მოინდომეს. ასეთ მოქმედებით ისინი გერმანიის იმპერატორის ჯარებს გზას უხსნიან და მთელ თავისუფლებას საფრთხეს უქმნიან. ჩვენ მათ ხალხისა და სამშობლოს მტრათ ვაცხადებთ და ჯარისკაცებს, ოფიცრებს მოუწოდებთ იარაღით ხელში რევოლუცია და სამშობლო განსაცდელისაგან დაიხსნან".

ასეთია ვლ. გობეჩიას ჯარებისადმი მოწოდება. როცა მის ასეთ მოწოდებას ვკითხულობთ, გვახსენდება 1871 წელს ტიერის მოწოდება, რომლითაც მან საფრანგეთის მცხოვრებთ, უმთავრესათ კი გლეხკაცობას მიმართა. იგი ამ მოწოდებაში კომუნარებს გაიძვერებს, სამშობლოს გამყიდველებს, პრუსია-გერმანელების სახელით ნათლავდა და მთელ მცხოვრებთ მათ წინააღმდეგ ამხედრებდა.

მერე განა პეტროგრადის რევოლუციონერ საბჭოების და მათი ხელმძღვანელ ბოლშევიკების გამოსვლა რევოლუციისა და ხალხის თავისუფლების წინააღმდეგაა?! სრულიადაც არა. აქ რუსეთის უკიდურესი ელემენტები პეტროგრადის პროლეტარიატის მეთაურობით დროებითი მთავრობის წინააღმდეგ გამოდიან და მთელი ძალა-უფლების საბჭოების ხელში გადაცემას მოითხოვენ. ეს მთავრობის კრიზისია და არა რევოლუციის წინააღმდეგ გამოსვლა. დროებითმა მთავრობამ მართალია დროის შესაფერად ვერ შესძლო ფართო ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მან ვერ გამოსცა ვერც ერთი დიდი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხის გადამჭრელი დეკრეტი და ამ გარემოებამ ბოლშევიკებს საშუალება მისცა უტაქტო ნაბიჯი გადაედგათ და უდროოთ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება განიზრახეს. მაგრამ ეს რევოლუციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი არ არის. მაშასადამე, მათი უტაქტობის წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსვლა და პეტროგრადის პროლეტარიატის სისხლის მორევში ჩახრჩობას, არც ერთი სოციალისტური პარტია არ მოისურვებს. უპირველეს ყოვლისა სოციალ-დემოკრატიული პარტია ამის ნებას არავის არ მისცემს და იგი ეცდება უტაქტობა გასწოროს და დემოკრატიულ ძალებს მობილიზაცია უყოს, ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ნაბიჯი გადადგას და ამით პეტროგრადის პროლეტარიატი განსაცდელისაგან იხსნას და მასთან ერთათ იხსნას მთელი რევოლუცია.

ერობის საკითხი და დაშნაკცაკანები.

II

მიიღო თუ არა სამინისტროს პროექტი ერობისა და ადმინისტრატიული გადამიჯვნის შესახებ, ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მოიწვია სპეციალური თათბირი პარტიათა წარმომადგენლებისაგან, რომელსაც თვითეულ ერისგან დაესწრო ხუთ ხუთი კაცი.

მუსულმანების წარმომადგენლები პრინციპიალურად წინააღმდეგნი არიან ყოველგვარი გადამიჯვნისა და ამიტომ სასტიკი პროტესტი განაცხადეს ახალი გადამიჯვნის წინააღმდეგ და თავის განცხადებას იმით ასაბუთებენ, რომ ჩვენ ასი წლის განმავლობაში ვცხოვრობდით სომხებთან ერთად ისე, რომ არავითარი გადამიჯვნა არ ყოფილა საჭირო. იმათ მოსმენაც კი არ უნდოდათ დაშნაკცაკანების პროექტისა, რომელიც სამინისტრომ გამოგზავნა.

მეორე მიმდინარეობას წარმოადგენდა ქართველი ნაციონალისტები, რომლებსაც პრინციპიალურად საჭიროთ მიაჩნიათ გადამიჯვნა, მხოლოდ საქართველოში კი არა. მათი აზრით სომხებს მუსულმანებთან ერთად შეთანხმებით შეუძლიათ მოახდინონ ადმინისტრატიული [illegible] იმ პირობით, რომ ისინი ხელს არ ახლებენ ახალ-ქალაქის მაზრასა და ლორის რაიონს, ვინაიდან ქართველებს ისტორიული უფლება აქვთ ამ ტერიტორიაზე, რომელიც შეადგენს ისტორიულ საქართველოს განუშორებელ ნაწილს.

მესამე მიმდინარეობის წარმომადგენელნი არიან ადმინისტრატიული გადამიჯვნის პროექტის ავტორნი—დაშნაკელები.

როგორია აქ სოციალ-დემოკრატიის პოზიცია?

მან თავის წარმომადგენლების პირით განაცხადა, რომ ადმინისტრატიული გადამიჯვნა აუცილებელი პირობაა ამიერ კავკასიაში ერობის შემოღებისათვის და, რომ გადამიჯვნას საფუძვლად უნდა დაედვას [illegible] მომენტში ნაციონალური მოსახლეობის პრინციპი დამყარებული ეკონომიური დახასიათებით. ამხ. ნ. ჟორდანიამ მიუთითა მუსულმანებს, რომ ადმინისტრატიული გადამიჯვნა—ეს უმცირესობის უფლებებია და უმრავლესობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს ამ ძირითადი პირობის წინააღმდეგ, რომელიც საჭიროა ამ კითხვის გადასაწყვეტად.

ადმინისტრატიული გადამიჯვნა არსებითად დასაწყისია ნაციონალური საკითხის გადაჭრისა ამიერ-კავკასიაში, ამიტომ ადგილობრივი დემოკრატია ვალდებულია შეუდგეს რეალურად მის განხორციელებას. ამხ. ნ. ჟორდანიას განმარტებულ გამოსვლამ აიძულა მუსულმანები დაეტოვებინათ თავისი შეურიგებელი პოზიცია და ეცნოთ ადმინისტრატიული გადამიჯვნის საჭიროება. ამავე ამხ. ნ. ჟორდანიას წინადადებით, მიუხედავად იმისა, რომ მუსულმანები წინააღმდეგნი იყვნენ, კომისიის მუშაობის საფუძვლად მიღებულ იქნა დაშნაკცაკანების მიერ წარმოდგენილი პროექტი.

ამ ნაირად, მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური გამოსვლის წყალობით ეროვნულ საკითხში გამოინახა საერთო ენა და განისაზღვრა შეთანხმების გზა, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემის მშვიდობიან და უმტკივნეულ გადაჭრას.

ბატონი დაშნაკცაკანები განზრახ არაფერს ამბობენ სოციალ-დემოკრატიის ამ დამსახურებაზე და განზრახ უმალავენ თავის მკითხველებს ამ მეტად საყურადღებო ფაქტებს. იმის მაგიერად, რომ არსებითად შეეფასებინათ საქმის ფაქტიური მხარე, იმათ დაიწყეს სხვის სულში ხელის ფათური და ცდილობენ სოციალ-დემოკრატები გამოიყვანონ ადმინისტრატიული გადამიჯვნის მოწინააღმდეგეებად. ბატონ დაშნაკელებისათვის არ არის ხელსაყრელი სისწორით და პირდაპირ უთხრან თავის მკითხველებს მთელი სიმართლე, მათთვის საჭიროა შექმნან ერთი ერთ შორის უნდობლობის ატმოსფერა და შეაგონონ სომხის მასსას, ვითომ იგი ყოველ მხრით გარშემორტყმულია მტრებით; ვინაიდან დაშნაკცაკანებმა კარგათ იციან, რომ მხოლოდ სომხის ხალხის წვრილ ბურჟუაზიულ სულისკვეთებაში შეუძლიათ იპოვონ თავისი ძალა; წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ გამოეცლებოდათ მათ ფეხ ქვეშ ნიადაგი. ამ გარემოებით აიხსნება ისტერიული წამოძახილები სოციალ დემოკრატიის წინააღმდეგ დაშნაკცაკანების „ჰორიზონ"-ის ფურცლებიდან.

აქ საჭიროა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც ერთხმად მიიღო კომისიამ თავის პირველ სხდომაზე. კომისიამ დაშნაკცაკანებისა და სოციალისტ რევოლუციონერების დახმარებით დაადგინა თავის მუშაობის შემდეგ მოიწვიოს აღმასრულებელ კომიტეტებისა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების სრულიად კავკასიის ყრილობა გადამიჯვნის საკითხის საბოლოოთ გადასაწყვეტად. ამნაირად, „დაშნაკცუთიუნის" წარმომადგენლებმა კომისიის მუშაობის დაწყებისთანავე საჭიროთ და შესაძლებლად აღიარეს გადამიჯვნის საკითხის გადაჭრა მხოლოდ აღმასრულებელ კომიტეტების, როგორც მცხოვრებთა არჩეულ ორგანოების წარმომადგენელთა საშუალებით. ამ ფაქტს ხაზი უნდა გავუსვათ, ვინაიდან დაშნაკელებმა შემდეგ იარეს პირი და მოინდომეს [illegible] „[illegible]" თავის პროექტი მაშინ, როდესაც თათბირის უმრავლესობა არც კი გაცნობოდა მას კარგათ. არ. ერზნკიანი.

(გაგრძელება იქნება).

დეპეშები

(პ. ტ. ს. 27 ოქტომბერი).

ფინლიანდიის შესახებ მანიფესტის პროექტი.

ჰელსინგფორსი. ბურჟუაზიულ პარტიების წარმომადგენლებმა გენერალ-გუბერნატორს წარუდგინეს მათ მიერ შემუშავებული დროებითი მთავრობის მანიფესტის პროექტი ფინლიანდიის და რუსეთის ურთიერთობის შესახებ. ამ პროექტის თანახმად შინაურ საქმეებს მართვა გამგეობის უმაღლესი ძალა უფლება, კანონმდებლობა გადაეცემა ფინლიანდიის სეიმს. წარუდგინეს აგრეთვე სეიმის გახსნის დღეს გენერალ-გუბერნატორის მისალმების [illegible] სიტყვის პროექტი. ს.-დემოკრატიულ ფრაქციას ჯერ არ უცნობებია ამ საკითხთან თავის გადაწყვეტილების შესახებ. 24 ოქტომბერს საღამოს გენერალ-გუბერნატორი გაემგზავრა პეტროგრადში, რომ დროებით მთავრობას წარუდგინოს ეს პროექტები. სეიმის გახსნა დანიშნულია 29 ოქტომბერს.

მუშათა ყრილობა.

კიევი. 24 ოქტომბერს გაიხსნა შაქრის მრეწველობის მუშათა ყრილობა. მონაწილეობას ღებულობენ შაქრის ქარხნების მექანიკოსები, მემანქანენი, ელექტრიკები და ცენტრო-შაქრის თანამშრომლები სულ 600 დელეგატი. ყრილობამ უნდა განიხილოს პროფესიონალურ კავშირებში შრომის ახალ ფასების შემუშავების და აგრარულ კითხვების პროექტი.

შიმშილობა.

კალუგა. გუბერნიაში დაიწყო შიმშილობა. გლეხები პურისთვის სამხრეთ გუბერნიებში მიდიან, პურს შოულობენ, მაგრამ სასურსათო გამგეობები წაღების ნებას არ აძლევენ.

გაფიცვები.

პეტროგრადი. შრომის მინისტრის ორგანოების შემწეობით პეტროგრადის ნავთის საწყობების მუშათა გაფიცვა გათავდა.

ბლაგოვეშჩენსკი. რადგან ამურის სავაჭრო ფლოტის მოსამსახურეთა [illegible] კითხვა მომრიგებელ კამერას გადაეცა გასარჩევად, გაფიცვა გათავდა.

ოდესა. დემოკრატიული ორგანიზაციის წყალობით პურის მცხობელმა მუშებმა უარი სთქვა გაფიცვაზე.

სოფლების განადგურება.

ვოლმარი. სისეგალ-ლემზურ-სუნცელის მიდამოების დატოვების დროს, ნემცებმა დასწვეს მთელი სოფელი, გადაბუგეს გლეხთა სახლები, სკოლები და საზოგადოებრივი სახლები, ააფეთქეს ხიდები და წაახდინეს გზები.

გერმანიის ს.-დემ. უმრავლესობა ახალ მთავრობის შესახებ.

კოპენჰაგენი. გერმანიის ს.-დემოკრატიის უმრავლესობის ლიდერმა შეიდემანმა ახალ მთავრობის შესახებ შემდეგი სთქვა: „გერ. მოხდა გადატრიალება, რომელმაც სხვა ქვეყნებში ბევრი სისხლი შეიწირა. ეს იმას ამტკიცებს, რომ გერმანიის ხალხი თავისუფლების მოსაპოვებლად გარეშე დახმარებას არ საჭიროებს. ს. დემოკრატიის ეკონომიური მოთხოვნებისთვის ეხლა ხელსაყრელი მომენტი არ არის, საჭიროა მოვცდეთ, ხოლო ჯერ მხარს დაუჭერთ მთავრობას, უკეთუ ის აწარმოებს მაგარ და აშკარა პოლიტიკას და არაფერს არ დაიშურებს, რომ მოიპოვოს უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი.

გლეხთა ყრილობა.

მინსკი. გლეხთა ფრონტის ყრილობაზე მოვიდა ყოფილი მინისტრი ჩერნოვი და სიტყვა წარმოსთქვა ყველა მიწების კომიტეტებისთვის გადაცემის შესახებ. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ ყველა მიწები, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი გადაეცეს მიწების კომიტეტების განკარგულებაში, რადგან ეს საჭიროა ხალხის დასამშვიდებლად დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს.

ფრონტის კომიტეტის დადგენილება.

მინსკი. ფრონტის კომიტეტის საზოგადო კრებამ დაადგინა წინადადება მისცეს მთავრობას შეამციროს ჯარების რიცხვი, ზომები მიიღოს ჯარის უზრუნველყოფისათვის და გაადიდოს მათი ოჯახების დახმარება.

ჯარების გაგზავნა.

კიშინიოვი. სოროკაში და ხოტინში გაიგზავნა ჯარები გუბერნიის კომისრის ბრძანებით ენერგიული ზომები მიიღონ, უკეთუ დარბევის მოხდენა განიზრახეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშა.

პეტროგრადი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნიის კომისრებს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: რადგან ზოგიერთ პირთ და ორგანიზაციებს უნდათ მთავრობა ხელში ჩაიგდონ, გამოუცხადეთ მცხოვრებთ, რომ ეს დასაშვები არ არის, მით უმეტეს, რომ მოახლოვდა დამფუძნებელ კრების არჩევნები. სამი კვირის შემდეგ მთელი ქვეყანა დაასახელებს თავის არჩეულებს და დროებითი მთავრობა გადასცემს ძალა-უფლებას ხალხის სრულ უფლებიან ორგანოს. არეულობა, რომელსაც გამოიწვევს მთავრობის ხელში ჩაგდების შესახებ აგიტაცია რამდენიმე თვით დააგვიანებს დამფუძნებელ კრების მოწვევას. თქვენ, როგორც დროებითი მთავრობის წარმომადგენლებმა, უნდა დაიცვათ ხალხის უმაღლესი უფლებები და საზოგადოებრივი სახალხო უფლებები. უკეთუ განიზრახეს მთავრობის ხელში ჩაგდება, თქვენ ყოველივე ზომები უნდა მიიღოთ მის ჩასაქრობათ. ნუ აჰყვებით ყალბ ხმებს პეტროგრადის ამბების შესახებ, აქ სრული სიწყნარეა. გახსოვდეთ რომ რუსეთის ბედი დამოკიდებულია მთელი ქვეყნის სიწყნარე და წესიერებაზე და არა მარტო პეტროგრადში. ხელს აწერს: შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკიტინი".

გაფიცვა.

ხარკოვი. დაიწყო [illegible] საქმის მუშათა გაფიცვა.

მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტა.

ხარკოვი. სამხრეთ რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ პირველ ნოემბრიდან ნახშირის უქონლობის გამო 20 სამგზავრო მატარებლის მიმოსვლა სრულიად სწყდება.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს თბილისის განყოფილება აცხადებს, რომ 25 და 26 ოქტომბერს პეტროგრადიდან დეპეშები არ მოსულა.

ომის დეპეშები.

(პ. ტ. ს.)

პარიზი. 25 ოქტომბერი. შმენ და-დამის ჩრდილოეთით მთელი დღის განმავლობაში საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ლემზის ტყესთან საარტილერიო სროლა უფრო გაცხოველდა.

ბალკანეთში ოფიციალური დეპეშების ცნობით ბრიტანიის ჯარმა მტრის პოზიციებს ზარბაზნებიდან სროლა დაუწყო. ვარდარის აღმოსავლეთით მტერმა ჩვენს სანგრებს სროლა აუტეხა.

ჰავრი. 25 ოქტომბ. გერმანიის არტილერია ამ ბოლო დროს შედარებით უმოქმედობას იჩენს. ისინი დიქსმიუდს სამხრეთით მდებარე ჩვენს სანგრებს ზარბაზნის ყუმბარებს ესვრიან. აქ ჩვენი არტილერია მტერს მხნეთ უპასუხებდა.

გემების ჩაძირვა.

კოპენჰაგენი. 24 ოქტომბ. ვოლფის სააგენტოს ცნობით გერმანიის ჩრდილოეთ ზღვაში ნორვეგიასა და ინგლისს შუა გერმანიის წყალქვეშ ნავებმა 9 გემი ჩაძირეს.

პეტროგრადის ამბები.

გუშინ საბჭოთა ცენტრმა თბილისში შემდეგი დეპეშები მიიღო:

ბათუმიდან: აქ მიღებულია შემდეგი რადიოტელეგრამა: „მოქმედ ჯარების ყველა კომიტეტებს, ჯარისკაცთა ყველა დეპუტატებს. პეტროგრადის გარნიზონმა და პროლეტარიატმა ჩამოაგდო კერენსკის მთავრობა, რომელიც წინააღუდგა რევოლუციას და ხალხს. ეს გადატრიალება უსისხლოდ ჩატარდა, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო სიხარულით შეხვდა ამ ამბავს და სცნო, რომ ჯერ, სანამ მთავრობა შეიქმნებოდეს, ძალა უფლება სამხედრო რევოლუციონური კომიტეტის ხელში გადავიდეს. ვაცნობებთ რა ამას, ფრონტს და ზურგის ჯარს დროებითი რევოლუციონური კომიტეტი მოუწოდებს ჯარისკაცებს, სასტიკი თვალ-ყური ადევნონ ჯარის ხელმძღვანელებს და დაუყოვნებლივ დააპატიმრონ ის ოფიცრები, რომლებიც ამ მდგომარეობას არ შეურიგდებიან". ახალი მთავრობის პროგრამით საბჭო ელოდება: დაუყოვნებლივ წინადადების მიცემა დემოკრატიულ ზავის შესახებ. დაუყოვნებლივ გადაცემა მემამულეთა მიწების გლეხებისათვის, მთელი ძალა-უფლების—საბჭოებისათვის და [illegible] მოწვევა დამფუძნებელ კრების. სახალხო რევოლუციურ არმიამ ნება არ უნდა მისცეს, რომ ფრონტიდან გაგზავნილი იქნან პეტროგრადისაკენ არასაიმედო ჯარები. იმოქმედეთ სიტყვით და დარწმუნებით. თუ სიტყვამ არ გასჭრა, წინ აღუდექით იარაღის შეურიგებელი ხმარებით. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადებულ იქნეს ყველა ჯარის ნაწილებში. დამალვა არმიის ორგანიზაციებისაგან ამ ბრძანების და გადაუცემლობა სალდათებისათვის უდრის უმძიმეს დანაშაულს რევოლუციის წინაშე და უნდა დაისაჯოს რევოლუციონური კანონის მთელი სისასტიკით.

ჯარისკაცნო, ზავი, პური და მიწა!
ძალა-უფლება ხალხს.
სამხედრო რევოლუციური კომიტეტი.

მოსკოვიდან: „მთავარი სარდლის ბინაკიდან მოსკოვის და სხვა სამხედრო ოლქებისადმი, აგრეთვე რკინის გზების, ქალაქის თვითმართველობების და სხვა ორგანიზაციებისადმი გაგზავნილია შემდეგი დეპეშა, რომლის პირიც თბილისში მოვიდა. ეს დეპეშა შემდეგია: პეტროგრადიდან მიღებული ცნობები, რომელიც სპირიდონოვმა და [illegible] გადმოსცეს პირდაპირი მავთულის საშუალებით დღეს (4 საათზე) პეტროგრადში მდგომარეობა ასეთი იყო: ბოლშევიკებს გადაჭრით განშორდნენ დემოკრატიული და სოციალისტური ელემენტები (მათ შორის მემარცხენე სოციალისტ რევოლუციონერები და მენშევიკი ინტერნაციონალისტები). მოსალოდნელია ახალი სამინისტროს შედგენა, ეს საკითხი უნდა გაირჩეს საბჭოთა თათბირზე, რომელიც დღეს მოწვეულია ქალაქის საბჭოში. მონაწილეობას მიიღებენ სოციალისტური პარტიები და ფრაქციების წარმომადგენლები, რომელიც გუშინ მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობიდან წავიდნენ. ყრილობაზე მხოლოდ ბოლშევიკები დარჩნენ. ყრილობიდან წავიდა აგრეთვე ფრონტის ჯგუფი. მათ შესაფერი დეკლარაცია წარადგინეს. ეს თათბირი ხდება აშკარათ ფრონტიდან შემოსული ცნობებით: სამხრეთის ფრონტის გარდა, ყველა საფრონტო კომიტეტები იმის მომხრენი არიან, რომ სასტიკი ზომები იქნას მიღებული ბოლშევიკების გამოსვლის ჩასაქრობათ. საარმიო კომიტეტები მათ მხარს უჭერენ. სამხრეთ დასავლეთის ფრონტის შესახებ ვიცით, რომ მხარს გვიჭერენ კორპუსის და დივიზიის კომიტეტები. ჯარების გადაყვანა კერენსკისა და ჩერემისოვის განკარგულებით გრძელდება. ფრონტიდან წინადადებანი მოდის, სადაც სურვილს გამოსთქვამენ, რომ ბოლშევიკური აჯანყების ჩასაქრობათ გაგზავნილ იქნას დიდძალი ჯარები. მთელი დემოკრატია წინააღმდეგია ბოლშევიკების უგნური ავანტიურისა, მათი განცალკევება უკვე აშკარაა. საერთო საარმიო კომიტეტებს მჭიდრო და შეუწყვეტელი კავშირი აქვთ ფრონტთან".

მოსკოვი. როსტოვ-თბილისის ყველა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს და ჯარების კომიტეტებს. „ამხანაგებო! საბჭოთა მეორე სრულიად რუსეთის ყრილობა შეიკრიბა იმ დროს, როდესაც პეტროგრადის ქუჩებზე დაიღვარა ძმათა სისხლი, დაიწყო სამოქალაქო ომი, რამაც გამოიწვია ბოლშევიკების მიერ მთავრობის ხელში ჩაგდება. სოციალისტ რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების, ინტერნაციონალისტების ფრაქციამ და სახალხო სოციალისტების ჯგუფმა შეუძლებლათ სცნეს ყრილობაში მონაწილეობის მიღება და დასტოვეს ის. ამიტომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სცნობს, რომ მეორე ყრილობა არ შემდგარა და უკანონო იყო. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს ყველა საბჭოებს და ჯარების ორგანიზაციებს შემოკრბნენ მის გარშემო რევოლუციის დასაცავათ. ცენტ. აღმ. კომიტეტი მოიწვევს საბჭოების ყველა ყრილობას, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება. ცენტრალური აღმ. კომიტეტი".

ვიტებსკი. „დღეს საბჭოს გაერთიანებულმა კრებამ აირჩია რევოლუციის დამცველი კომიტეტი, თავის განკარგულებაში მიიღო გარნიზონი და ქალაქი და წინადადება მისცა [illegible]. ჩვენი მოქმედების კონტროლის გასაწევათ კომიტეტმა კომისარი გამოგზავნა. კომიტეტი ზომებს ღებულობს წესრიგი არ მოიშალოს. გარნიზონში ჯერ სიწყნარეა. შემდეგ შეგატყობინებთ. მე-220 პოლკის უფროსი პოლკ. როჟესნკი".

პეტროგრადიდან: სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისაგან კავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „მთელი ძალა—უფლება დამფუძნებელ კრებას! სრულიად რუსეთის გლეხებისა და ჯარის წარმომადგენელთა ნების წინააღმდეგ მართვა-გამგეობას ხელში იღებს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. დამფუძნებელ კრების მოწვევამდე სამი კვირის განმავლობაში მართვა-გამგეობის ძალით ხელში ჩაგდება არის მთელი ხალხის უფლების ხელში ჩაგდება. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დაიწყო ძმათა შორის ომი. მტერი სატახტო ქალაქის კარებზეა მომდგარი. ჯარს კვლავ ჩასცეს მახვილი ზურგში! მისი ბრძოლის უნარი სუსტდება, პეტროგრადის მუშ. ჯ. საბჭო გვპირდება ზავს, პურს და მიწას. ეს სიცრუეა!.. გლეხთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, იცავს რა გლეხთა ინტერესებს, მოგიწოდებთ თქვენ ნუ დაუჯერებთ პეტროგრადის მუშ. და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და მის მიერ შექმნილ ორგანოებს. ერთი წუთითაც ნუ შეაჩერებთ დამფუძნებელ კრების არჩევნებს. მჭიდროთ შემოკრბით თქვენი საზოგადო ორგანიზაციების ირგვლივ და ჩააქრეთ ძარცვა-გლეჯის ყოველივე ცდა. მთელი ძალა-უფლება—დამფუძნებელ კრებას!".

ბოლშევიკებს აზრათ ჰქონიათ შეადგინონ ასეთი სამინისტრო: პრემიერ-მინისტრი იქნება ლენინი, გარეშე საქმეთა—ტროცკი, სამხედრო—გენერალი ვერხოვსკი, გზათა—ბერნაცკი, ფინანსთა—ავილოვი. სამხედრო მინისტრობის გარდა გენერალ ვერხოვსკი, როგორც ამბობენ, სამხედრო დიქტატურის უფლებით აღიჭურვება. საღამოთი ბოლშევიკებმა დაიკავეს ბალტიის ვოგზალი და პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო. ცნობებია მოსული, რომ პეტროგრადისაკენ ჩრდილოეთ ფრონტიდან ჯარები დაიძრა. პრეობრაჟენსკის გვარდიის პოლკი მთავრობის მხარეზეა. სმოლნი ინსტიტუტში წითელი გვარდიელები მივიდნენ.

ღამის 1 საათზე საზამთრო სასახლეში გამოცხადდნენ ყაზახები. მათ აღუთქვეს მთავრობის დახმარება იმ პირობით, უკეთუ საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი, ე. ი. თუ სრულიად აღმოფხვრით ბოლშევიკების [illegible], როგორც სახელმწიფო მოღალატეებისა. კერენსკი თანახმა ყოფილა სასტიკი ზომების მიღების. საღამოს პეტროგრადში სხვადასხვა ქუჩებში მოხდა სროლა მილიციონერებსა და შეიარაღებულ პირთა შორის, რომლებიც ავტომობილებით დაჰქროდნენ ქუჩებში. სროლა 50 ალაგას იყო. მოსკოვში მიღებული ცნობით დაიჭირეს 30 კაცი.

„რუსკაია ვოლია"-ს სტამბა სამხედრო დარაჯს უკავია. იქ ბოლშევიკები ბეჭდავენ მოქალაქეთა მიმართ მოწოდებებს, სადაც აცხადებენ, რომ დროებითი მთავრობა ჩამოგდებულია და ძალა-უფლება ბოლშევიკების ხელში გადავიდა. 24 ოქტომბერს „გოსტინი დვორის" მიდამოზე „პოგრომულ" სიტყვებს ამბობდნენ. მილიციის ინსპექტორმა მოინდომა [illegible] ამ მიზნით [illegible] ჯარის შე[illegible] რევოლვერით მოჰკლეს.

მოსკოვში ფაბრიკა-ქარხნებში მუშებს რეზოლუციები გამოაქვთ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების აუცილებლობის შესახებ. სამხედრო ოლქის სარდალმა მოწოდება გამოსცა: მოუწოდებს მცხოვრებთ წეს რიგი დაიცვან. მოსკოვის პავლოვის რაიონში ფაბრიკა-ქარხნების ხელში ჩაგდება მუშების მიერ გრძელდება. ზოგიერთ ფაბრიკებიდან პატრონი და ადმინისტრაცია გარეკეს. ყველა წიგნები-დოკუმენტები და ფასეულობები ხელში ჩაიგდეს. მასალების შემოტანა და გატანა ფაბრიკიდან შესწყვიტეს.

მთავარ-სარდლის კერენსკის დეპეშა: „დაწყებული არეულობა, რომელიც გამოწვეულია ბოლშევიკების უგნურობით, დაღუპვის პირზე აყენებს მთელ სახელმწიფოს და თხოულობს მთელი ჩვენი ნებისყოფის მოკრებას და თვითეულისაგან თავის მოვალეობის ასრულებას, რომ გამოსავალი ვიპოვოთ ამ სასიკვდილო განსაცდელისაგან, რომელშიაც ჩავარდა დატანჯული სამშობლო. დღეს, მთავრობის ახალ შემადგენლობის გამოცხადებამდე,—თუ ასეთი გამოცხადებული იქნება,—თვითეული უნდა თავის ადგილზე დარჩეს და აასრულოს თავის მოვალეობა დატანჯულ სამშობლოს წინაშე. უნდა გვახსოვდეს, რომ არსებული ორგანიზაციის სულ მცირედ დარღვევას შეუძლია გამოიწვიოს გამოუსწორებელი უბედურება, გაუხსნას რა ფრონტს შემოსეულ მტერს; ამიტომ საჭიროა შეუნარჩუნოთ ჯარმა ბრძოლის უნარი, დავიცვათ წესრიგი, დავიცვათ ჯარი ახალ არევ-დარევისაგან და არ შევარყიოთ ნდობა სალდათებსა და მის ხელმძღვანელთა შორის. გიბრძანებთ ყველა უფროსებს და კომისრებს სამშობლოს ხსნისათვის თავის პოსტზე იდგნენ, როგორც მე ვინახავ უმაღლეს მთავარსარდლის მოვალეობას.

ბრძანება წაკითხულ უნდა იქნეს ჯარის ყველა ნაწილებში. **კერენსკი.**

25 ოქტ. 1917 წ. პსკოვი.

ესერებს, მენშევიკებს და მათ ცენტრალურ კომიტეტებს გადაუწყვეტიათ მოწოდებით მიმართონ ჯარს და მუშათა კლასს.

კავკასიის ფრონტის კომისარი პეტროგრადიდან მოწოდებას სცემს, რომელშიაც აღიარებს, რომ ბოლშევიკების გამოსვლას შეუძლია დაღუპოს მთელი რევოლუციის მონაპოვარი, იმავე დროს აღიარებს, რომ მხოლოდ ისეთ მთავრობას, რომელიც დაეყრდნობა ყველა დემოკრატიულ ძალებს და რომელსაც მხარს დაუჭერს ყველა რევოლუციონური ორგანიზაციები, შეუძლია მიიყვანოს [illegible] ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე და მისცეს ზავი, მიწა და თავისუფლება. ამხანაგებო, ნუ დაუშვებთ ძალადობრივ ექსცესებს, თავნებურ აჯანყებებს. თქვენ შეგნებასა და თავისუფლებისადმი ერთგულებაზეა დამოკიდებული ხსნა რევოლუციის.

უკანასკნელი ფოსტა

სამხედრო სამინისტროს პოლიტიკური განყოფილება ამ ჟამად პროექტს იმუშავებს ჯარების ნაციონალურ საფუძველზე რეორგანიზაციის მოხდენის შესახებ.

როგორც სამხედრო კომისრები იუწყებიან, ჯარებს [illegible] მდგომარეობა. შესწავლით ზურგიდან მოსული ჯარების მდგომარეობა არც სულიერის მხრით, არც ტექნიკურის საიმედო არ ყოფილა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ჯარის გაჯანსაღების საქმე საუკეთესოდ დაგვირგვინდება.

ბერლინის ლანდტაგში ახლად დანიშნულმა მინისტრ-პრეზიდენტმა გერტლინგმა უპასუხისმგებლო საიმპერიო კაბინეტის დანიშვნის წინააღმდეგ ილაპარაკა. ეს არ შეეფერება გერმანიის წყობილებას, რომლის ნაწილებსაც კავშირის ხასიათი აქვთ. შაბლონურათ შექმნილი ცენტრალიზმი საფრთხე იქნებოდა გერმანიის იმპერიის შემადგენელ ცალკე სახელმწიფოთა დამოუკიდებელ არსებობისათვის.

ახალი ამბები

ამხ. კაკო წერეთელი გუშინ ბაქოში წავიდა.

◆ რეზოლუცია ბოლშევიკების გამოსვლის შესახებ. კავკასიის მ., ჯ. და გ. დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა და თბ. მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა 26 ოქტომბერს პეტროგრადში მომხდარ ამბების შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ბოლშევიკების გამოსვლა პეტროგრადში სულ ერთია,—დროებით გაიმარჯვებს იგი თუ საჩქაროდ იქნება იარაღით ჩაქრობილი, აუცილებლად მიგვიყვანს კონტრ რევოლუციის გამარჯვებამდე და მოპოვებულ თავისუფლების დაღუპვამდე. რევოლუციის ინტერესები მოითხოვენ აჯანყების მშვიდობიანი გზით ჩაქრობას მართვა-გამგეობის დემოკრატიზაციისა და დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევის ირგვლივ მთელი რევოლუციონური დემოკრატიის შეთანხმების საფუძველზე. აცხადებს რა ამას, კავკასიის მ., ჯ. და გ. დეპ. საბჭოთა ცენტრი მოუწოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებს მშვიდობიანობისა და რევოლიუციონურ მთლიანობისა და წეს-რიგის დაცვისაკენ". რეზოლიუცია მიღებულია 145 ხმით 13 წინააღმდეგ (10 თავი შეიკავა).

◆ **მოწოდებების დაბეჭდვის გარშემო.** კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა წინადადება მისცა ყველა სტამბებს არ დაბეჭდონ არავითარი მოწოდება პოლიტიკური ხასიათისა ცენტრის თავმჯდომარე ამხ. ეგეჩკორისა ან თავმჯდომარის ამხანაგების დონსკოისა და ნ. რამიშვილის ნებადაურთველად.

◆ **თავდაცვის კომიტეტში** აირჩიეს მ. და ჯ.-კ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა ამხ. გ. მახარაძე, ს. ვერეშჩაკი (ს. რ.) და კუზნეცოვი (ბოლშ.). კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა—ამხ. ნოე ჟორდანია და ე. ჯუღელი; კავკ. გლეხთა დეპ. საბჭოთა ცენტრმა—ამხ. ნოე რამიშვილი და ს. ვრაციანი (დაშნ.)

◆ **კურსები.** პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კულტურულ-განმანათლებელი კომისია ხსნის სამთვიან და ერთ კვირეულ კურსებს. სამთვიან კურსებზე შესასვლელი გადასახადი 10 მანეთია, მაქსიმალური გადასახადი—25—30 მან. ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 ს. და საღამოს 7—9 საათამდე კავშირთა საბჭოს ბინაზე (პეტრე დიდის ქ. № 18). კურსებზე დაახლოებით შეისწავლიან შემდეგ საგნებს: თეორია, პრაქტიკა და ისტორია პროფესიონალური მოძრაობისა, პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიური ყოფა-ცხოვრების ისტორია, ცნობები კოოპერაციის შესახებ. კვირეული კურსების დანიშნულებაა კავშირებისათვის მდივნების, მოანგარიშეების და ბუხგალტერების მომზადება. ყოველ კვირას წაიკითხავენ ლექციას პროფ. კავშირთა ყველა წევრთათვის.

◆ **საარჩევნო ფონდი.** მივიღეთ სამ ღაოს რ. ს.-დ. მ. პ. კოლექტივისაგან 219 მ. დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის სასარგებლოდ.

◆ **ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის წევრთა კრება.** 5 ნოემბერს, დილის 12 საათზე, ქართული სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია კავკასიის ქართულ-კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის რწმუნებულთა საზოგადო საგანგებო კრება არსებულ წესდებაში ცვლილებათა შესატანად (წესდების 15 §). კრებაზე უნდა გამოცხადდნენ წარსული წლის აპრილში არჩეული რწმუნებულები. კავშირის გამგეობა სთხოვს რწმუნებულთ აუცილებლად დაესწრონ კრებას, რადგან გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადასაწყვეტად საჭიროა რწმუნებულთა სამი მეოთხედის დასწრება.

◆ **შემოვიდა შემოწირულება** საოლქო კომიტეტის კასაში რ. ს.-დ. მ. პ. ბაიაზეთის ორგანიზაციისაგან დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლად 50 მან. სად. თფილისის წვრილის დამცველ აღმასრულებელ კომისიისაგან—2500 მან., ოლღა თევზაძისაგან 5 მ., პეტრე ტარასოვისაგან სადემოკრატიო ფონდის გასაძლიერებლად 6 მან.

◆ **ქართველ სტუდენტთა სამეურნეო საზოგადოების გამგეობა** გადაინაცვლა დეპუტატთა საკრებულოში (ფრეილინის ქუჩა № 11). ყოველდღე ცნობის მიღება შეიძლება იქვე საღამოს 5-დან 8 საათამდე.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურ. „შინა გიმნაზია და უნივერსიტეტი“ № 3.

კრებები და მიტინგები.

დღეს, 28 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მე 8 სამილიციო ნაწილის მცირე კოლექტივი მართავს ლექციას მეორე კომერციულ სასწავლებლის შენობაში. თემა: 1) დამფუძნებელი კრება, 2) მიმდინარე კითხვებზე.

— დღეს დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდში“ ამხ. ე. ჯუღელი წაიკითხავს ლექციას მიმდინარე მომენტზე. ლექციის შემდეგ გაიმართება სპექტაკლი. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

პროვინციის ქრონიკა

ჭიათურა. კვირას, 29 ოქტომბერს, 12 საათზე, ჭიათურის პირველ-დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში დანიშნულია დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის ჭიათურის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია: სკოლების ნაციონალიზაცია და პროგრამების შეთანხმება. მოხსენება დელეგატთა ყრილობაზე. მოხსენება გამგეობისა და არჩევნები.

ქ. ხარიყამიში. 17 ოქტომბერს ღამის 3 საათზე ვაგზლიდან მომავალ „არტელშჩიკს“ მე-4 კავკასიის საინჟინერო ადმაზ. „დრუჟინისა“ პოპოვს ერთი მხლებლით, რომელსაც თფილისიდან მოქონდა 51 ათასი მანეთი, თავს დაესხნენ „დრუჟინის“ შტაბის ახლოს 8 შეიარაღებული პირები—ზოგიერთი ჯარისკაცის ფორმით, ზოგიერთი მუშების და გაძარცვეს. მძარცველებმა კასირს ნაგანის რევოლვერი და მხლებელს „ვინტოვკა“ წაართვეს და შემდეგ ფულის ძებნას შეუდგნენ. გაათავეს თუ არა თავიანთი „საქმე“, ბოროტ მოქმედნი ვაგზლისაკენ გაემგზავრნენ. იმავე წამში კასირმა მისცა ცნობა დეპუტატთა საბჭოს. მიღებულია ზომები ბოროტ-მოქმედთა დასაჭერად. ეს მეორე თვეა მუშებს და მოსამსახურეებს ჯამაგირი არ მიუღიათ „დრუჟინაში“ და კასირის მოლოდინში იყვნენ.

საჩხერის რაიონში დასრულდა დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიების შედგენა. დამფუძნებელ კრების კომისიაც ენერგიულად მუშაობს.

— საჩხერის რაიონის ზოგიერთ დაწყებითი სასწავლებელში მეცადინეობა ჯერ არ დაწყებულა.

— საჩხერის რაიონის კომისარმა ს. ბარათაშვილმა სამსახურს თავი დაანება, დროებით სამსახურს ასრულებს ას. გოლაბერიძე.

— ბაზარში სოფლელებს სანოვაგე ძვირად შემოაქვთ, მიზეზათ ასახელებენ, რომ ვაჭრები საქონელს მალავენ და არც ჩვენ შემოვიტანთო.

— ამ დღეებში შორაპნიდან საჩხერეში ელიან საგამომძიებლო კომისიას, საჩხერის სადგურის ბოროტ-მოქმედების გამოსაძიებლად.

— ამ ჟამად საჩხერის სადგურიდან კავკასიის სხვადასხვა ადგილებში ბლომათ გააქვთ ხილეულობა.

დ. ბორჯომი. 23 ოქტომბერს მოხდა ს. დ. მ. პარტიის წევრთა კრება, რომელმაც მოისმინა საოლქო ყრილობის დადგენილებანი. მოხსენება გააკეთა გაგზავნილმა დელეგატმა ამხ. ლ. რუხაძემ. მან დაწვრილებით გადასცა კრებას დადგენილებანი, რომელიც კრებამ ერთხმათ მიიღო და დაადგინა დამფუძნებელი კრების ფონდის გასაძლიერებლად გადასდონ პარტიის წევრებმა ერთი დღის ჯამაგირი და ეცადონ აგრეთვე ფულის შეგროვებას თანაგრძნობელთაგან. მოუწოდებთ ამხანაგებს ამ ფრიად მნიშვნელოვან მომენტში ენერგიული მუშაობისათვის.

ქ. ფოთში „კონკა“, რომელიც მოიჯარადრეებს ჰქონდათ აღებული ქალაქისაგან, ქალაქმა დაიბრუნა. საერთო საბჭომ გამოიწვია „კონკის“ ბილეთების ფასის მომატება: 8 კაპ—დან ბილეთების ფასმა აიწია 14 კაპ.—მდე, მოწაფეთა და ჯარისკაცთათვის 5 კაპ-დან—10 კაპ-მდე.

სოც. დემ. პოლიტ. კლუბის დარბაზში ამხ. ბ. თევზაიამ წაიკითხა ორი საარჩევნო ლექცია: 17 ოქტ.—შემდეგ თემაზე: „რუსეთის რევოლიუცია და ჩვენი პარტიის მოვალეობა“. ლექციის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო, სხვათა შორის, ამხ. დ. ონიაშვილმა.—მეორე დღეს, 18 ოქტ., ამხ. თევზაიამ წაიკითხა მეორე ლექცია: „მუდმივი ჯარი, თუ სახალხო მილიცია?“. ორივე ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო. 22 ოქ., ამხ. დ. ონიაშვილმა წაიკითხა ლექცია: „ნაციონალური საკითხი“. ლექციის შემდეგ გაიმართა კამათი. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა ლექციით.

ლანჩხუთში არის ორი აღმასრულებელი კომიტეტი: სასოფლო და სარაიონო, ამიტომ ხშირად გაუგებრობა ხდება, არ იციან, რომელ კომიტეტს ეკუთვნის სხვადასხვა წერილები: სასოფლოს თუ სარაიონოს. ამისათვის ლანჩხუთის სარაიონო აღ. კომიტეტი სთხოვს ყველას სახეში მიიღონ ეს გარემოება და თუ სარაიონო კომიტეტთან აქვთ საქმე, მაშინ პაკეტზე დააწერონ: ლანჩხუთის სარაიონო აღ. კომიტეტს.

საარჩევნო სამზადისი

ბათუმი. 22 ოქტომბერს რ. ს. დ. მ. პ. ბათუმის კომიტეტის ინიციატივით ელექტრონის სადგურის წინ, მოედანზე, გაიმართა დიდი მიტინგი. დილის თერთმეტ საათიდან ყველა რაიონებიდან წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით თანდათან იკრიბებოდა ხალხი. პირველ საათზე ამხ. გრ. სოლოგოვი ხსნის მრავალრიცხოვან მიტინგს. პირველად ლაპარაკობს ამხ. გ. ანჯაფარიძე, რომელიც არკვევს სოც.-დემ. საარჩევნო პლატფორმას, ეხება სოც.-დემ. პარტიის საერთო საქმისათვის თავგანწირულ მუშაობას და მოუწოდებს სოც. დემ. სიისათვის მიეცათ ხმა. ლაპარაკობენ აგრეთვე სხვა ამხანაგებიც: გაგოლაძე, მალხაზოვი, ტერზიანი, პორობოვი, შალიგინი და სხვები, რომლებიც რუსულ-ქართულ-სომხურ ენებზე ნათლად არკვევენ თანამედროვე მომენტს, აღნიშნავენ დამფუძნებელი კრების დიდ მნიშვნელობას და მოუწოდებენ ხალხს ფხიზლად შეხვდნენ მომავალ დამფუძნებელი კრების არჩევნებს, რაზედაც დამოკიდებულია რუსეთის ბედის გადაწყვეტა. ყველა ორატორებს ხალხი ცხარე ტაშის ცემით აჯილდოვებს. სამ საათზე თავმჯდომარე ხურავს მიტინგს და მოუწოდებს დამსწრეთ აქედან მწყობრად დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩით და მარინეს პროსპექტით დემონსტრატიულად გავლით და მისვლიყვნენ მუშათა სასახლესთან. მართლაც, რამოდენიმე ათასი ხალხი, უმრავლესათ მუშები და ჯარისკაცები, მწყობრად დაიძრა და რევოლიუციონური სიმღერებით და დროშებით ხელში გაემართა მუშათა სასახლისაკენ. წინ მიუძღოდა სამხედრო მუსიკა. მუშათა სასახლის აივანიდან შინაარსიანი სიტყვით მიმართა ხალხს სოც. დემ. საარჩევნო პლატფორმის შესახებ ამხ. მგელაძემ. აქვე მეტად მგრძნობიარე სიტყვას ამბობს აგრეთვე ამხ. მალხაზოვი, რომელიც ეხება სოც.-დემ. პარტიის საერთაშორისო მოძრაობას, აღნიშნავს ამ პარტიის ბელადების დიდ ღვაწლს და ბოლოს დასძენს: ამხანაგებო, აი ამ აივნიდან (გუბერნატორის ყოფილი ბინა) ხშირათ გვსმენია სხვადასხვა „წარჩინებულ“ პირთა სიტყვები, რომლებიც მანიფესტით მოგვმართავდნენ რაიმე განკარგულების ასასრულებლად ან და გვეტყობინებოდნენ მეფის ჩამომავლობის რომელიმე პირის ჩამოსვლას. მე კი ამხანაგებო, დღეს გატყობინებთ, რომ ხვალ ჩვენ გვესტუმრება მთელი საერთაშორისო სოციალ დემოკრატიის მშვენება, რუსეთის რევოლიუციის ბელადი, ხალხის შვილი და ჩვენი სასიქადულო ამხანაგი ირაკლი გიორგის ძე წერეთელი. კავკასიის სოციალ დემოკრატიამ დიახაც უნდა იამაყოს ისეთი ღირსეული ამხანაგით, როგორიც არიან წერეთელი და ჩხეიძე. მოვუწოდებთ, ამხანაგებო, დამფუძნებელ კრების არჩევნებში თქვენი ხმა მისცეთ მხოლოდ იმ სიას, რომელსაც ამშვენებენ ჩვენი დიდებული ამხანაგები წერეთელი და ჩხეიძე. მხოლოდ ამ სიაში მოთავსებული პირნი შეიძლებენ მუშათა კლასის, მთელი ხალხის კეთილდღეობისათვის თავი დასდონ. მალხაზოვის სიტყვა მქუხარე ტაშის ცემას და ვაშას ძახილს იწვევს. მიტინგი დასრულდა საღამოს ხუთის ნახევარზე და ხალხიც დიდათ ნასიამოვნები დაიშალა.

ვ. დვაზუელი

ქ. ფოთი. დამატებითი სიების შედგენის დროს ჩვენი ამხანაგები ენერგიულად მუშაობდნენ, რათა შეეტანათ სიაში ყველა ქალაქის არჩევნების დროს გამოტოვებული პირები. დამატებით სიაში შეტანილია 350 კაცი. მთელი ქალაქი დაყოფილია 8 უბნად. სხვა პარტიები ჯერ ჯერობით აღარა სჩანან!

ზემო-თიანეთი. 20 ოქტომბერს გაიმართა მოწინავე პირთა და წარმომადგენელთა თათბირი. დამფუძნებელ კრების შესახებ ილაპარაკეს ვლ. მგელაძემ და კ. ნადიმაძემ.

თიანეთი 19 ოქტომბერს საღამოს გაიმართა სამრევლო სკოლაში საუბარი დამფუძნებელი კრების შესახებ. კრების დასასრულს ერთი დამსწრეთაგანი შეეცადა არევ დარევის მოხდენას, მაგრამ კრებამ დაატოვებინეს მას.

რესპუბლიკის დროებითი საბჭო

(პეტ. დეპ. სააგ.)

შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვა (დაგვიანებულია), მინისტრი დაწვრილებით ლაპარაკობს იმ უწესოებების შესახებ, რომლებიც ხდება რკინის გზებზე, სოფლებში და ქალაქებში და აღნიშნავს რა ზომებს ღებულობდა ასეთ შემთხვევებში დროებითი მთავრობა. 21 აპრილის კანონის თანახმად ადგილობრივ დაცვის მოწყობის საქმე გადაცემული იყო ქალაქის და ერობათა დაწესებულებების ხელში. სამწუხაროდ ამას ყურადღება არ მიაქციეს ამ დაწესებულებებმა, ამიტომ მილიციის შედგენის საქმე ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ამის მიზეზი იყო ისიც, რომ ადგილობრივ მთავრობა გაიყო: ერთი მხრით კომისარი და მეორე მხრით ქალაქის და ერობათა დაწესებულებების გამგეობა. მინისტრი საჭიროთ სცნობს შესდგეს ადგილობრივ ერთპიროვანი მთავრობა, რომელმაც განსაკუთრებულ პირობებში უნდა იმოქმედოს, უნდა შესდგეს მთავრობისა და პროკურატურისგან საგანგებო კომიტეტები. გარდა ამისა საჭიროა ზოგიერთ ადგილებში გამოცხადდეს სამხედრო წესები. უნდა შესდგეს ცენტრში და ადგილობრივ მაგარი მთავრობა. განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა ვისარგებლოთ შეიარაღებული ძალით. საჭიროა რეპრესიული ზომები. მინისტრი იმედოვნებს რესპუბლიკის დროებითი საბჭო იტყვის, რომ ნამდვილ ზომების მიღების გარდა სხვა გზა არ არის.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ფულის ფასის დაცემა.

ეკონომიურ მოვლენათა მნიშვნელობა უფრო ადვილად შესამჩნევი და გასაგებია, როცა მას საერთო მსოფლიო მასშტაბით ვზომავთ. მაგალითად, მანეთიანის ფასის დაცემას რუსეთის განსაკუთრებულ პოლიტიკურ მდგომარეობას უკავშირებენ მაშინ, როცა ფულის ფასის დაცემა საერთო მოვლენაა; მაშინ, როცა ფულის ფასი დაეცა ყველა მეომარ სახელმწიფოში.

შვეიცარიულ „ბანკფერეინის“ ანგარიშების მიხედვით, შვეიცარიის ბირჟაზე ყველა მეომარ სახელმწიფოთა ფულს შემდეგი ცვლილება ქონია:

ომის დასაწყისში საფრანგეთის ფრანკის ფასმა შვეიცარიაში აიწია კიდეც, რადგან საფრანგეთს თავისი კაპიტალი დაბანდებული აქვს შვეიცარიაში და ამიტომ საფრანგეთის ფულის მოთხოვნილება დიდი შექნა. მაგრამ 1915 წლის ბოლომდე საფრანგეთის მარკამ დაიწია 12 პროცენტით; 1916 წლის ბოლომდე კიდევ 4 პროც. და 1917 წ. ივლისში მარკის ნომინალური ფასი 21 პროცენტით დაეცა.

უფრო ძლიერად დაეცა იტალიის ფულის—ლირას (ფრანკი) ფასი. 1915 წლის ბოლომდე იტალიური ლირას ფასი დაეცა 30 პროცენტით და 1917 წლის ივლისის ბოლომდე კიდევ 20 პროც. მთლიანათ ლირას ფასი 37,1 პროცენტით.

ცნობილია, რომ შვეიცარიასა და რომანულ ქვეყნებს (საფრანგეთი, იტალია, ბელგია) შორის არსებობდა ფულის უნია, მაგრამ ომმა გაანადგურა ეს საერთაშორისო კავშირიც.

გერმანიის მარკის ფასი დაეცა 48,3 პროცენტით; გერმანიის მარკის ფასის დაცემა მე ბოლო დროს უფრო სიჩქარით ხდებოდა, ვინემ ომის დასაწყისში. 1915 წლამდი გერმანიის მარკამ 19 პროც. დაიწია; 1917 წლის ივლისამდე—20 პროც., ავსტრიული ფულის—კრონის ფასი 64 პროცენტით და რუსული ფულის—მანეთიანის ფასმა კი 63 პროცენტით დაიწია.

როგორც სჩანს, ჩვენი მანეთიანის ფასის დაკარგვა ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის და სპეციფიური პირობების გამო არ მომხდარა, არამედ ფულის ფასის დაცემა არის საერთო მოვლენა, არის ომის შედეგი და სრულიად ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში უფრო ძლიერ დაზარალდენ ის ქვეყნები, რომელნიც ეკონომიურად სუსტნი იყვნენ. ასეთი არიან ავსტრია უნგრეთი და რუსეთი.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ, რომ არც მდიდარი ინგლისი გადარჩა საერთო ზიფათს. ინგლისის ფულის ფასი შვეიცარიაში დაეცა 14 პროცენტით და ამერიკის—12 პროც.

გაღატაკებული მეომარი სახელმწიფოები მიადგენ ნეიტრალურ სახელმწიფოებს, რომ ამ უკანასკნელებმა მათ სესხი მისცენ. ასე, საფრანგეთი და გერმანია შვეიცარიიდან სესხულობენ ფულს. ცხადია, თუ ასე არის, მაშინ ომი ნეიტრალურ ქვეყნებსაც კეთილ დღეს არ მისცემს და მათ სამეურნეო სიმდიდრეს გამოაცლის.

სპექტატორი.

რუსეთი

სამხედრო სამინისტროს პოლიტიკურ განყოფილებაში შეიმუშავეს რკინის გზის დაცვის პროექტი და დებულება სადგურებზე და მატარებლებში წესიერების დასაცველათ. პროექტს საგნად აქვს დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლა და ჯარისკაცების მგზავრობის დროს რკინის გზებზე წესიერების დაცვა.

— ქვანახშირის ნაკლებობამ ისეთი მდგომარეობა გამოიწვია, რომ თუ დროზე არ შემცირდეს მატარებლების მოძრაობა, მთელი მოძრაობა შესწყდება, სათბობლის გამოზოგვის აზრით საჭიროა ნაცვლად ერთი წყვილი სამგზავრო მატარებელი დადიოდეს და ადგილობრივ ხალხის გადასაზიდათ ურალი ვაგონები შემოიღონ ხმარებაში. განზრახულია ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანონ 10 ნოემბრიდან.

— სოფლის კოოპერაციის დამხმარე ხარკოვის კომიტეტი კომერციულ ინსტიტუტთან ერთად ხსნის კოოპერაციის კურსებს. კურსებზე მეცადინეობა გაგრძელდება ნახევარ ერთ კვირას. კურსების მიზანია კოოპერატიულ დაწესებულებათა ხელმძღვანელების, გამგეობის წევრთა, სარევიზიო კომისიების და მოანგარიშეთა მომზადება.

— თავრიდის გუბერნიაში საერობო დაწესებულება დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის. მან მიმართა მცხოვრებთ მოწოდებით შეიტანონ გადასახადები. საგუბერნიო და საზემსტვო ერობის კასები ცარიელია და ხარჯები კი დღითი დღე მატულობს. უკეთუ გადასახადები არ შემოვიდა, ერობა იძულებული იქნება დახუროს სკოლები და საავადმყოფოები.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი იმის შესახებ, რომ უფლება მიეცეთ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს მოახდინონ სახლების რეკვიზიცია (აგრეთვე ტელეფონების, სტამბების და მიმოსვლის საშუალების). კანონპროექტის თანახმად პეტროგრადში არსდება ცენტრალური სარეკვიზიციო კომიტეტი, რომელიც შესდგება ყველა სამინისტროების და დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისგან და აგრეთვე ასეთივე კომიტეტები უნდა დაარსდეს დიდ ქალაქებში. ყოველივე რეკვიზიცია ხდება ცენტრალური კომიტეტის მიერ და ძალაში შედის, უკეთუ შვიდი დღის განმავლობაში დაინტერესებულებმა საჩივარი არ შეიტანე. სამინისტრო საჭიროთ სცნობს საჩქაროთ დამტკიცებულ იქნას ეს კანონპროექტი

უცხოეთი

უკანასკნელ დღეებში დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდის შესანიშნავი ცვლილებანი მოხდა. პირველი ადგილი ამ ცვლილებებში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სამსახურიდან გადადგომაა. პენლევეს კაბინეთი გადადგა. ახალი კაბინეტის შედგენა იმავე პენლევეს მიენდო, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრათ ის რიბო აღარ არის, რომლის მოლაპარაკება სტოკჰოლმის კონფერენციის წინააღმდეგ სამართლიან აღშფოთებას იწვევდა სოციალისტურ წრეებში. რიბოს ნაცვლად მინისტრად იქნა ბარტუ. ფრანგული გაზეთების სიტყვით გადადგომა გამოიწვია მისმა სიტყვამ პალატაში, როცა მან გერმანელთა საზავო წინადადებას უბრალო ხაფანგი უწოდა, როგორც ირკვევა, სექტემბრის პირველ რიცხვებში ბრიანს მიუღია ჩვეულებრივი დიპლომატიური გზით გერმანიის წინადადება დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება. საფრანგეთს ეთმობოდა ელზას ლოთარინგი, იტალიას—ტრიესტი. სამაგიეროთ უნდა მიეღო გერმანიას რუსეთის ფრონტზე. ეს მოლაპარაკება სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობით გაგრძელებულა 1 ოქტომბრამდე და გერმანიის წინადადებაც უარყვიათ. გაზეთების აზრით რა თქმა უნდა, დაცულ უნდა იქნას რუსეთის ინტერესები, მაგრამ ისეთი წინადადების ხაფანგად მონათვლა, როგორიც გერმანიის წინადადება არის შეცდომა არის, ვინაიდან ეს წინადადება შეიძლება საფუძვლად დაედებოდა საზავო მოლაპარაკებას. ბარტუ პალატაში შეეხო საგარეო პოლიტიკის საკითხს. მან დემოკრატიის პრინციპების საწინააღმდეგო მოვლენად აღიარა საიდუმლო ხელშეკრულებათა არსებობა. საფრანგეთმა უნდა იცოდეს ის ხელშეკრულებანი, რომლითაც ის შეკავშირებულია სხვა სახელმწიფოებთანა. შემდეგ მან უარყო გავრცელებული ხმები, თითქოს რუსეთი მიტოვებული იყოს, რაც შეეხება ომის მიზანს—ელზას ლოთარინგის შემოერთება და გაპარტახებულ ადგილების აღდგენა, ზავის აუცილებელი პირობაა. სოციალისტები არ არიან [illegible] სტრის კრიზისის [illegible] საგანგებო კომ[illegible] აღდგენის მთავრობის მოქმედებას.

ზავის საკითხი ავსტრიაში კვლავ იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. ამას წინათ ავსტრიის სოციალდემოკრატიული პარტიის ყრილობამ ომისა და ზავის საკითხის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „პარტიულ ყრილობას უპირველეს საქმეთ მიაჩნია ყოველივე ღონისძიება იქნას ნახმარი ზავის ჩამოსაგდებად. პროლეტარიატი პროტესტს აცხადებს იმ ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც ნახმარი იქნება ამა თუ იმ ერის წინააღმდეგ. ომის გათავება ძალადობით შეუძლებელია, ამიტომ უნდა გამონახულ იქნას შეთანხმების გზა. რუსეთის რევოლ. ბრწყინვალე გამარჯვება მეფის თვითმპყრობელობაზე საუკეთესო საშუალებაა ზავის მოსაახლოებლათ. რუსეთის თვითმპყრობელობის დანგრევით იწყება ახალი, არა თუ რუსეთის, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობის ისტორიაში. რევოლიუციისა და საერთაშორისო მშვიდობიანობის საქმენი მჭიდროთ გადაჯაჭვულნი არიან. დაბეჯითებით მოითხოვს—უნდა წარედგინოს მთავრობას, რომ მან მიმართოს ყველა მეომარ სახელმწიფოებს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შეკვრის წინადადებით. კერძოთ უნდა აღდგენილ იქნას სერბია, რუმინია და ბელგია. ეს ქვეყნები ისე, როგორც პოლონეთი არავითარ ეკონომიურ ან სამხედრო დამოკიდებულებაში არ უნდა დარჩნენ რომელიმე სახელმწიფოსთან. სახელმწიფოებმა უნდა გამოაცხადონ, რომ ისინი მზად არიან, მიიღონ საჭირო ზომებს საყოველთაო იარაღის აყრის და საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს დაარსების შესახებ“.

14 სექტემბერს ავსტრიის პრემიერ მინისტრმა ზეიდლერმა ბიუჯეტის განხილვის დროს პარლამენტში საგარეო პოლიტიკის შესახებ ილაპარაკა. მან განაცხადა, რომ მიუხედავად უკანასკნელ ხანებში მომხდარ გამარჯვებისა, ომს თავდაცვის მიზანი აქვსო. „ჩვენ მზათ ვართ ჩვენ მოწინააღმდეგებთან ერთად დავსხდეთ და საზავო მოლაპარაკება გავმართოთ, უკეთუ ჩვენი მტრებიც ასეთივე აზრებით არიან გამსჭვალულნიო“. მისი აზრით, შეთანხმების სახელმწიფოთა საზავო პირობები ხელსაყრელი არ არის, და თუ ასე გაგრძელდა საქმე, მაშინ იძულებული ვიქნებით მოწინააღმდეგენი ძალადობით დავითანხმოთ ზავზეო. შეუმოწმებელ ცნობებს თუ დავუჯერებთ, ვენაში და აგრეთვე ავსტრიის სხვა ქალაქებში რევოლიუციონური ხასიათის სერიოზული არეულობანი მომხდარა.

მუშათა დაზღვევის ახალი კანონი

არსებობდა დღემდე რუსეთში მუშათა კანონმდებლობა თუ არა?

ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის მიცემა ძნელია, რადგან კანონი ყველასათვის სავალდებულოა და მისი ცხოვრებაში გატარება პირდაპირ მოვალეობას შეადგენს მთავრობისათვის. რუსეთში კი, მუშათა კანონმდებლობის მრეწველები არასოდეს არ ემორჩილებოდნენ და მთავრობა არა თუ ატარებდა ცხოვრებაში ამ კანონს, პირიქით, თუ ვინმე მის გატარებას შეუდგებოდა, ციმბირში გადასახლება მოელოდა. მაგალითისთვის მოვიყვანთ შემდეგ ცნობებს:

1914 წლიდან 1916 წ. დამლევამდე სხვადასხვა საავადმყოფო კასებში დაიჭირეს და გადაასახლეს 647 მდივანი. უკეთესი ბედი არ ერგოთ წილათ გამგეობის მოწინავე წევრებსაც. როგორც უკანასკნელ ანკეტიდან ვტყობილობთ, 1914 წელში დაიჭირეს გამგეობის 58 წევრი, დაითხოვეს სამსახურიდან 85, გადაასახლეს 49. 1915 წ. დაიჭირეს 36 კაცი, დაითხოვეს სამსახურიდან 101 და გადაასახლეს 27. 1916 წ. დაიჭირეს 83, დაითხოვეს სამსახურიდან 139 და გადაასახლეს 81 კაცი. ე. ი. სულ ადმინისტრატიულ სასჯელ ქვეშ გაუვლია 1306 კაცს. აქედან აშკარაა, რომ რუსეთში მუშათა კანონმდებლობა იმდენათ ტარდებოდა ცხოვრებაში, რამდენადაც მისი განხორციელება მრეწველთა ჯიბეს არ ეწინააღმდეგებოდა.

ასე იყო დღემდე; დღეს კი მუშათა კანონმდებლობაში შესამჩნევი ცვლილება მოხდა. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ შეანგრია ძველი კედლები და მუშათა კლასს ფართო ასპარეზი მისცა თავისი ინტერესების დასაცავათ.

საავადმყოფო კასების თვითმართველობა.

დღემდე საავადმყოფო კასებში ბატონობდნენ მრეწველები. მართალია, გამგეობაში ერთი ხმა მეტი ჰქონდათ მუშებს, მაგრამ ეს გარემოება მუშების სასარგებლოდ არას ამბობდა, რადგან მრეწველთა წარმომადგენლები მუდამ სარგებლობდენ თავისი მდგომარეობით და გამგეობაში ფაქტიურ ბატონებს ისინი წარმოადგენდნენ. საკმარისი იყო მუშებს თავის გადაწყვეტილება ერთსულოვნად გაეყვანათ, რომ მეორე დღეს რამდენიმე მუშა ქარხნიდან გამოსახლებულიყო. ამასთან ერთად, უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ გამგეობის თავმჯდომარე კანონის ძალით მრეწველთა წარმომადგენელი იყო და როგორც ასეთი, უფრო გაძლიერების როლს ასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებდა, ვიდრე გამგეობის წევრობისას. ახალმა კანონმა ძირ-ფესვიანათ შესცვალა ეს ბიუროკრატია. დღეს გამგეობაში მხოლოდ მუშათა წარმომადგენლები სხდებიან და მეწარმეებს იქ ადგილი არა აქვთ. ახალი კანონის ამ მუხლის დაუცველობა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც შემდეგ არავინ რამოდენიმე ხნით მაინც ყოფილიყო სავალდებულო კასის ან მდივნათ, ან გამგეობის წევრათ.

მაგონდება, თუ რა სამზადისით ვხვდებოდით თვითეულ სხდომას. წინა დღით უნდა შეგვეკრიბა ხოლმე მუშა-გამგეობის წევრები. ყოველივე კითხვა წინათვე უნდა გადაგვეწყვიტა; მოგვეძებნა შესაფერი მუხლი კანონისა და ასე, წინასწარ მომზადებით შევხვედროდით მეწარმეთა წარმომადგენლებს. მიუხედავად ასეთი მომზადებისა, ხშირად ჩვენი შრომა ფუჭად ხდებოდა, რადგან გამგეობის ესა თუ ის წევრი მუშების მხრით ან გაიგებ არ მოეგონებოდა სხდომაზე, რომ მეწარმეთა რიცხვი არ დაემატებოდა, ან და თავს შეიკავებდა კენჭის ყრის დროს.

დღეს ასეთი მდგომარეობა შეიცვალა და სავალდებულო კასები სრული თვითმართველობით ისარგებლებენ. ამ მხრით რუსეთის მუშათა კანონმდებლობამ შევდივართ წინ გასულ წლის გერმანიისას, რადგან იქ გამგეობის წევრთა $^2/_3$-ხაგან შესდგება მხოლოდ მუშათა წარმომადგენლებისა.

ახლავე მოვიყვან ახალი კანონმდებლობის საზოგადო კრებების შესახებაც.

როგორც ვიცით, დღემდე საზოგადო კრება შესდგებოდა მუშათა რწმუნებულებისაგან და მეწარმეებისაგან დანიშნულ პირებისაგან. ძველი კანონის 90 მუხლის ძალით საზოგადო კრებების თავმჯდომარეთ მეწარმეთა წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო საზოგადო კრებას აერჩია თავიანთ შორის თავმჯდომარე, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებდა ქარხნის ადმინისტრაცია. თავის თავად ცხადია, ასეთ მოწყობილობას მეწარმეები იშვიათად იზიარებდნენ და საზოგადო კრებები მუდამ მეწარმეთა დამოკიდებულ ქვეშ ტრიალებდა.

ახალმა კანონმა ეს პოლიტიკური ზოლი ერთი კალმის მოსმით მოსპო და ძველი კანონის 86—90 მუხლი შემდეგ ნაირად შესცვალა:

„საზოგადო კრება თავმჯდომარეს თავის შორის ირჩევს. რაც შეეხება კრებაზე წესრიგის დაცვას ის მხოლოდ თავმჯდომარის მოვალეობას შეადგენს".

საზოგადო კრება კი შესდგება მხოლოდ მუშათა რწმუნებულებისაგან და მეწარმეთა წარმომადგენლები იქიდან სრულებით განდევნილია.

ამ გზით, ახალი კანონის ძალით სავალდებულო კასების ნამდვილ-მეპატრონეთ თვით დაზღვეული მუშები იქნებიან, რაც დიდს ცვლილებას შეიტანს სავალდებულო კასების ცხოვრებაში.

დღეიდან თვით მუშათა კლასის ენერგიაზე დამოკიდებული ამ საქმის წინ გაწევა და რამდენადაც რუსეთის მუშათა კლასი მომზადებული შეხვდება ამ ახალ კანონმდებლობას, იმდენათ ნაყოფიერი იქნება შედეგი ახლად ჩამოყალიბებული მუხლების განხორციელება.

საქმით დახმარება.

ახალმა კანონმა საქმით დახმარების ორგანიზაციაც სრულებით ახალ ნიადაგზე დააყენა. ამ მხრით ახალი კანონი ფრიად დიდ შეღავათს აძლევს მუშათა კლასს. დღემდე ძველი კანონის 45 მუხლის ძალით საქმით დახმარების ადმინისტრაცია ქარხნის მეპატრონის ხელში იყო. აშკარაა, ქარხნის მეპატრონე მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ამ საქმეზე ცოტა დაეხარჯა. საკურნალო ექიმები საკუთარ სისტემას კი არ ემსახურებოდნენ, არამედ—ქარხნის მეპატრონის ინტერესებს. სანამ მუშა სამარის კარზე არ მიდგებოდა, მანამდის საქმით დახმარებას არ აძლევდნენ. წამლების ღირსებაზე ლაპარაკიც მეტია. ბევრი ადგილას მოითხოვდნენ სავალდებულო კასები, რომ ქარხნის მეპატრონეებს საქმით დახმარების საქმე სავალდებულო კასებისათვის გადაეცათ, მაგრამ ამაზე მეწარმეები გადაჭრილ უარით უპასუხებდნენ. დღეს ეს კითხვაც მოწესრიგდა. ახალი კანონის ძალით სავალდებულო კასებს უფლება ეძლევათ ეს საქმე თავის ხელში აიღონ. ქარხნის მეპატრონე ვალდებულია თვითეულ მუშაზე სავალდებულო კასაში შეიტანოს 2 პროც. ხელფასის ხარჯთა ჯამიდან. ვთქვათ, მუშის წლიური ჯამაგირის დებულება 3000 მანეთს, ქარხნის მეპატრონე ვალდებულია კასაში შეიტანოს 60 მან. მაგრამ თუ მუშის ხელფასის ჯამი წლიურათ ნაკლებია 900 მანეთისა, ის ვალდებულია კასას გადაუხადოს არა ნაკლები 18 მანეთისა.

ამ ქამათ ძნელია იმის გათვალისწინება, თუ რამდენათ შესძლებენ სავალდებულო კასები ზემო აღნიშნული თანხით რაციონალურ ნიადაგზე დააყენონ საქმით დახმარების აღმოჩენა. რომ მანეთის კურსი ერთი ხანად არ დაცემულიყო, სულ უკიდურესი ნორმა, 18 მანეთი წლიწადში ერთ მუშაზე, ზოგი სხვა ქვეყნებით საკმარისი იქნებოდა პირველ ხანებში იმიტომ, რომ სავალდებულო კასები მოითხოვდნენ საქმით დახმარების თავის ხელში აღებას ქარხნის პატრონისგან მხოლოდ 18 მანეთის მოთხოვნით და ამ ნორმას ერთგვარად საკმარისად სთვლიდნენ იმ დროს. მაგრამ დღეს, როდესაც მედიკამენტთა ფასმა 500 პროც. აიწია, თავისთავად ცხადია, 18 მანეთით საქმით დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი გახდება და აი, სწორეთ ამიტომ ახალი კანონი ამ ნორმას ადიდებს 60 მანეთამდე. თუ საშუალო რიცხვს ავიღებთ, სავალდებულო კასაში თითო წევრზე წელიწადში 30 მანეთი მაინც შემოვა და ეს თანხა საშუალებას მისცემს სავალდებულო კასებს თამამად შეუდგნენ ამ საქმის თავის ხელში აღებას.

საქმით დახმარების სავალდებულო კასების ხელში გადასვლა ერთი-ორად უფრო გაადვილდება იქ, სადაც სავალდებულო კასები ცალკე შეერთდებიან და საერთო ძალით შეუდგებიან ამ დიადი საქმის განხორციელებას. ამ მიზნით არის სწორეთ შეტანილი ახალ კანონში მუხლი, რომლის ძალითაც თავისუფლად შეუძლიათ კასებს შეერთება და ერთი საერთო კასის დაარსება. დღემდე ამა თუ იმ ქარხნის კასას მხოლოდ იმ პირობით შეეძლო შეერთებოდა მეზობელ კასასთან, თუ ამაზე ქარხნის პატრონი დათანხმდებოდა. ახალი კანონის ძალით ეს დაბრკოლება აღარ არსებობს და კასებს სრული უფლება ეძლევათ თავისუფალი გაერთიანებისა. ეს მუხლი ახალი კანონისა უნდა ფრიად იქნეს გამოყენებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ის [illegible] სარგებლობისა, რომელსაც ამ კანონს შეუძლია მოიტანოს, მიზანს ვერ მიაღწევს.

ბ. ჟუმბურიძე.

(დასასრული იქნება).

მუშათა შორის

ფოთი. 17 სექტემბერს ფოთის ხე-ტყის ქარხნების მუშებმა და ხელოსნებმა წარუდგინეს ქარხნების პატრონებს შემდეგი მოთხოვნილებანი: დღიური ხელფასის გადიდება 3 მან. და 50 კაპეიკით (ამჟამად მუშები იღებენ დღეში 6 მან. 50 კ. ხოლო ხელოსნები—8 მან.) ქარხნების რემონტი. ქარხნებს უნდა მოეწყოს საკუთარი ექიმი და უნდა ჰქონდეს საქმით ფონდი.—მუშებთან ერთად მოთხოვნილებები წარუდგინეს აგრეთვე მეკამეჩეებმაც: ისინი მოითხოვდენ თითო ხის გადაზიდვაში წყლიდან „კონტზე" მანქანამდე—კაპარქინაში ნაცვლად წინანდელ 25 კაპ.—60 კაპ., ხოლო რკინიგზის არსებულ ქარხნებთან წინანდელ 35 კაპ. მაგიერ—70 კაპ.; კაპარქინაში ხის წყლიდან ამოღება და ნაპირზე დაწყობისთვის (თითო ძელზე) ისინი მოითხოვდენ 15 კ. ნაცვლად—40 კაპ. გარდა ამისა, მეკამეჩეებმა მოითხოვეს ხის-სათრევი გზის შეკეთება. მუშების მხრით ეს მოთხოვნილებანი სამართლიანად სცნო საბჭოს მუშათა სექციამ. მეპატრონეებს მისცეს ვადა პასუხისათვის—3 დღე, მაგრამ გავიდა 3 დღე და ქარხნების პატრონებისაგან ვერავითარი პასუხი ვერ მიიღეს. მაშინ მუშებმა მიმართეს ადგილობრივ ს.-დ. ორგანიზაციის კომიტეტს დახმარებისათვის. კომიტეტის დადგენილების თანახმად მუშები კვლავ განაგრძობდენ მუშაობას იმ პირობით, რომ 3 დღის განმავლობაში მეპატრონეებს პასუხი უნდა გაეცათ, კომიტეტმა თავის მხრივ ზომები მიიღო, რათა მუშების სამართლიანი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინათ. მეპატრონეებმა უარი განაცხადეს მუშების დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან, ამბობდენ იგინი, წარმოება ამას ვერ აიტანსო, მაშინ მუშებმა გამოიწვიეს მეპატრონეები შემრიგებელ კამერაში 7 ოქტომბერს. ამავე დღეს შესდგა შემრიგებელი კამერა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ხუთ-ხუთი წარმომადგენელი თითო მხრიდან და ერთიც თავმჯდომარე ამხ. სამსონ ორაგველიძე—მუშათა სექციის წარმომადგენელი. მაგრამ კამერის საშუალებითაც ვერ შეთანხმდნენ. მეპატრონეები „სტრეიკებდნენ", რომ წარმოება ვერ აიტანს ასეთ ხელ-ფასსო. მაშინ მუშებმა განაცხადეს, რომ თუ ისინი დაკმაყოფილებული არ იქნებიან, ისინი სტოვებენ ქარხნებს და მეპატრონეებს შეუძლიათ მოიყვანონ ახალი მუშები, ვინაიდან ისინი ქარხნებს არავითარ გაფიცვას და „ბოიკოტს" არ უცხადებენ. აღსანიშნავია, რომ ჰქონდას ქარხნის მუშები თვითონვე დაეკმაყოფილა. ამ გარემოებაზე რადიკალურად მიუთითეს მუშებმა მეპატრონეებს. ბ-ნ ჰულონის ასეთი საქციელი იმით კი არ აიხსნება, რომ ვითომც ის თანაუგრძნობდეს მუშების მოთხოვნილებებს,—პირიქით, წინეთ მისი წინანდელი მოქმედება სულ წინააღმდეგს მაჩვენებელია. მისი საქციელი ამ შემთხვევაში აიხსნება იმ ფარული კონკურენციით, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს მეპატრონეებს შორის. განსაკუთრებით კი ეს მისი საქციელი მიმართული იყო გ. სახატრიანის წინააღმდეგ, რომელიც წინეთ ყველაზე უფრო ადრე აკმაყოფილებდა მუშებს.—მუშების შეურყეველმა წინადადებამ იქონია ბოლოს გავლენა მეპატრონეებზე და 15 ოქტომბერს მათმა წარმომადგენლებმა განუცხადეს ს.-დ. კომიტეტის წარმომადგენელს მეპატრონეების თანხმობა შემდეგ პირობებზე, რაზედაც მუშებიც დაეთანხმდნენ: მუშებს ემატებათ ხელ-ფასი 2 მანეთი, აგრეთვე ხელოსნებსაც. მეკამეჩეები ასე დაკმაყოფილდნენ: კაპარქინაში თითო ხეზე ისინი ღებულობენ წყლიდან—„კონტზე" გადატანაში 35 კაპ., ნაპირიდან „კონტზე" გადატანაში, როგორც კაპარქინაში, აგრეთვე რკინიგზე—25 კაპ. 6 არშინიან ხეების ამოტანაში წყლიდან ნაპირზე—50 კაპ.—გარდა ამისა, თითო ქარხანა აძლევს მუშებისაგან არჩეულ პირს თვეში 15 მან. საქმით ფონდისთვის; 20 დღის განმავლობაში ავადმყოფ მუშას ეძლევა ნახევარი ხელ-ფასი და უფასო საქმით დახმარება. ხის-სათრევი გზები და ქარხნების ფუნქციონირების შენობები შეკეთებულ უნდა იქნენ. ქარხნებში მუშაობა დაიწყო 16 ოქტომბერს.

შალვა ჩ—ია.

ჯარის-კაცთა წერილები

ფრონტიდან. 10 ოქტომბერს ქ. კ—ში გაიმართა მეორე კავკასიის მსროლელი ბრიგადის ჯარისკაცთა მიტინგი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. გ. გოგორიშვილი, მდივნათ კ. ჩანუკვაძე. კრებამ იქონია მსჯელობა დღევანდელ მომენტზე და გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: ჩვენ ყველა ფრონტის ამხანაგებს წინადადებას ვაძლევთ დაიცვან ენერგიულად სამშობლო და ფრონტი გარეშე მტრისაგან; გავუფრთხილდეთ დღეებში ჩვენს და წერილებს, რომ ჩვენი ბრიგადის ჯარისკაცნი დავიცავთ თავისუფლებას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ჩვენ ერთი ყოველი უმცირესი შემთხვევისათანავე ვიხსნით იგი ჩვენს ხმლით და შევეწირებით მას; ამასთან ერთად მოგვახსენოთ, ჩვენ ჯარისკაცები, დაჩქარებით დამფუძნებელი კრების მოწვევას თუ ადრე არა, დანიშნულ დროს არ უნდა გადაიცილოდეს მისი მოწვევა. ყველაფერს ვინმე მოისურვებს დამფუძნებელი კრების გადადებას, ეს ეცნობის ყველა ფრონტის ჯარისკაცებს. მაშინ გვეცოდინება, თუ ვინ არის ჩვენი მტერი და მოეთხოვებათ მათ პასუხი, არა სიტყვით და კალმით, არამედ იარაღით. ჩვენი სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას ვერავინ წაგვართმევს უსისხლოთ. ჩვენ განუწყვეტლივ საკუთარი თავისუფლებისათვის და არ დავემორჩილებით ძალადობას გარეშე და შინაურ მტრისათვის. ყოველ მას ნათელმა ჩვენი სიტყვა, არის ამოჩემებული და შეგრძნებული თავისუფლებისათვის. ამით არ თავისუფლდება მარტო რუსეთი,—განთავისუფლება რუსეთისა, სხვა ქვეყნებისა და ერების განთავისუფლებასაც ნიშნავს.

ამხანაგებო! მოგიწოდებთ შეგნებისაკენ და დისციპლინისაკენ. ჩვენმა ადმინისტრაციამ [illegible] ქუთაისში ლაზარეთის მომსწრენი, ზიზღი იმ ჯარისკაცებს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ასეთ საზიზღარ საქმეში. ამხანაგებო ჯარისკაცებო და მოქალაქენო! ჩვენ გათავისუფლებული ოჯახებს დღეს უნდა მოუვლინოთ და ეს ჩვენი ვალია. მაშ, გაუმარჯოს იმ ამხანაგებს, ვინც მოგვეხმარება ჩვენ! ძალა ერთობაშია! გაუმარჯოს ჩვენს ერთობას და სოლიდარობას! გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს!

სიკვდილი კორნილოვებს და მის თანამოაზრეებს!

ძირს რუსეთის რევოლუციის მტრებს!

ჯარისკაცი ი. მაჭავარიანი.

---

15 სექტემბერს სოფ. ბითილოვიანში მოხდა კრება, რომელსაც დაესწრნენ ჯარისკაცნი და აგრეთვე მუშები, რომლებიც გზაზე მუშაობენ. ლექცია წაიკითხა პოლკ. ფ. ხინთიბიძემ დამფუძნებელი კრების შესახებ. ლექციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ლექციის შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ჯარისკაცი ივანე ბანძურია.

მე-25 კავკასიის მსროლელ პოლკში შესდგა ქართველების კულტურულ-განმანათლებელი წრე; ქართველობა ჩვენს პოლკში 600 კაცზე მეტია, წრის, ანუ კავშირის მიზანია შეიტანოს ამხანაგებში სწავლა-განათლება და მოამზადოს ისინი პოლიტიკური ცხოვრებისათვის. გამოწერილი გვაქვს ლიტერატურა (300 ც.), რომლებიც, ქართველი მწერლების თხზულებანი, პარტიული ლიტერატურა, ყველა ქართული გაზეთები, ჟურნალი და სხვ. მოწყობილი სამშობლო კურსი, შორეულ პოზიციებზე მყოფნი, თვალყურს ადევნებენ რევოლუციის მსვლელობას და საერთო პოლიტიკური ცხოვრების, რათა არ ჩამორჩნენ მას და ყოველთვის გვერდში ედგნენ რევოლუციის დროშას. ვაწყობთ ლექციებს სხვადასხვა საკითხებზე როგორც რუსულად, ისე ქართულად, გვაქვს ჩვენი ნახევრად ხელით ერთი მაგარი ქოხი, რომელსაც ამშვენებს წარწერა „საპოლკო უნივერსიტეტი", სადამოობით, თავისუფალ დროს, ვიკრიბებით და გვაქვს სხვადასხვა თანამედროვე საკითხებზე. საერთოდ, ქართველი ამხანაგები გულმოდგინეთ ეწევიან მუშაობას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ხელს გვიშლიან და ყოველნაირათ აფერხებენ და აშინებენ ამხანაგებს,—დაპირებებით, კლუბზე გადაჩვევებით და სხვა. რასაკვირველია, შეგნებული ამხანაგები მიხვდებიან მათ და ეს შეგნებულობა იქამდე მიდის, რომ მუშტიც როტაში მეთაურობს ერთი აბ. მაჩხული „ნაცარქექია" ჯარის კაცი. ამავე როტაში არიან ამხანაგები ჩიხინელი შეეღი და ზიკუნაშვილი, რომლებიც ხელს მართლაც და ღირსეულად ეხმარებიან. მე ცხრე როტაში არიან წერეთელნები გარდაშნე და [illegible], აგრეთვე საქმის ხელის შემშლელნი. პირველი ქართული დემოკრატიისათვის ამხანაგებს ხაზებზე აძლევს პროფესს, მხოლოდ მეორე რუს და ქართველ ამხანაგებში პროვოკაციას ეწევა. მაგრამ რუსი ამხანაგები ჩვენთან ერთად მუშაობენ და ერთი ასეთ ხელმძღვანელ ქართველს უთხრეს: „თქვენ ზოგნი იმას ფიქრობთ, ძველი დრო თუ მობრუნდეს „ჟანდარმად" გამოიყენებთ, ეგ არ არის ამხანაგობაო". მართლაც ასეა, რუსი და სხვა ამხანაგები სულ ჩვენთან იმუშავებენ, პოლკის კომიტეტი ხელს გვიწყობს, ლექციებს ერთად ვკითხულობთ. გამოდის რამოდენიმე კაცი და საქმეს გვიშლის, თუ არ სურთ ჩვენთან მუშაობა, განზე დადგნენ. არიან კიდევ ამხანაგები ფარცვანია (მე-15 როტ.), ნიკოლეიშვილი (16 რ.), კაზიშვილი (12 რ.), კვაჭაძე (6 რ.), საბაშვილი (2 რ.), რომლებმაც სულ არიეს ხალხი. მაგრამ სამასზე მეტი ამხანაგი მაინც ჩვენთან მუშაობს და ხიშტით და ამგვარი მუქარით ჩვენ ვერ შეგვაშინებენ და იმედი გვაქვს, რომ სინდისის ყოველთვის ვიძლევით და შეუგნებელ ამხანაგებს ვაჩვენებთ სინათლის გზას, რომელიც მიგვიყვანს დემოკრატიულ რესპუბლიკამდე.

ფულად უკვე შევაგროვეთ 1500 მანეთამდე. ახლო მომავალში პარტიულ ორგანიზაციის მოწყობას ვაპირებთ.

ჯარისკაცი ს. გიწაძე.

პროვინციის ცხოვრება

ზაზიფინარი (ზუგდიდის მაზრა). 12 ოქტომბერს სოფელ გაშიფურდში სამწუხარო ამბავი დატრიალდა. ამ სოფელში არის სახნავ სათესი ადგილი „ლეკტაიში", რომელიც იყიდეს გაშიფურდის მცხოვრებ გლეხებმა თავადი მანგრელისაგან [illegible] წლის წინეთ; სოფელ კირცხის მცხოვრები გლეხები, გვარად სახვრიდები, იჯარით იღებდნენ გაშიფურდელებისაგან სახნავ-სათესს. რევოლუციის შემდეგ გაშიფურდელებმა და სახვრიდებმა მიმართეს მაზრის კომიტეტს და დაადგინეს, რომ სახვრიდებს ეშუშინათ ხანამ მიწის იჯარის გადასახადი, ორივე მხარე დაითანხმდნენ. ასე რომ, ხუნა თუხვამ [illegible] ჩიიანა. დადგა შემოდგომა, გაშიფურდელებმა მიმართეს სათემო კომიტეტს და ორივე მხარე გადაწყდა,—ხანამ კომიტეტი გადაწყვეტს, ხსენებულ მიწაზე ერთი იღებენ, ამ მიწაზე სახვრიდები შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ თითო ავი კაცი სოფლის არ გამოდგა და ცოდნა ერთი ასეთი იქაც ვინცა ძველი ნაპოლიციელი, ვაჟბატონი სპირიდონ შენგელაია. შეაგროვა ეგ გლეხები სახვრიდები და უთხრა, რომ დღეს არავითარი მთავრობა არ არის, და თუ ძალა არ იხმარეთ, სახნავს დაკარგავთ და თუ თქვენ არ შეებრძოლებით, მიმიბარეთ მე. გლეხები დაეთანხმნენ, გამოსცეს მათ ფული, ეს იგი ქრთამი, ვითომ და საქმის მოსაგვარებლად, იშოვნა რამდენიმე თავზე ხელაღებულები, ჩაუსაფრა ტყეში, თვითონაც შეიარაღდა და ცხენით ჩადგა ყანაში. უთხრა გლეხებს: თქვენ მოჭერით სიმინდი და თუ ვინმე ხმა გაგეცა, პასუხს ჩვენ მოვცემთო. სახვრიდები ასეც მოიქცნენ. გაშიფურდლებმა რომ პასუხი მოითხოვეს, მათ შენგელაიამ მიუთითა, ვითომდა იმას აქვს კომიტეტის განაჩენი. შენგელაიამ უთხრა გაშიფურდლებს, მოგვიოთ რამდენიმე კაცი ერთად და პასუხს მოგცემთო. ამ გამოცდილმა აფერისტმა მოუყარა თავი გაშიფურდლებს იქ, სადაც მას ჰყავდა ჩასაფრებული შეიარაღებული კაცები, გამოიწვია სალაპარაკოდ და ივანე ბახილავები, რომლებმაც შორიდან მწყრალად შენგელაიას და მის მოსახლეობას ქურდებთან კავშირი და გაყალბებული მოწმობები აღმოაჩინეს, რისთვისაც სიკვდილით ემუქრებოდა ყოველდღე და დღეს შეასრულა კიდევაც. სპირიდონ შენგელაიამ თოფი დაახალა გულში რევოლვერით პასუხის ნაცვლად. ამ დროს იქვე ჩასაფრებულმა ტყვიები დაუშინეს და მსუბუქად დაიჭრა ორი კაცი. ლაპარაკის ხმაური, ხალხის წივილ-კივილი, გამარჯვებული სპირიდონი თავისი ბანდიტებით, იარაღით ხელში ტრიალებდა ყანის გარშემო და მათ ბანაკებში. რომელსაც დაეწყოთ არ ზოგავდა დაჭრილთ და თავის კაცებით და თან აძახებდა: ვინიც ჯაგრი შენი და თქვენ ისე დაგხოცავთო. მაზრის კომიტეტის განკარგულებით შენგელაია დაატუსაღეს, მაგრამ ძველი რეჟიმის მოხელენი და ბოროტმოქმედები დღესაც არიან თავ-გასულებულნი. რათა ვერ დაეჯერებინათ უნდა შენგელაია განთავისუფლებულიყო, მაგრამ არა მგონია, რომ მათ მოახერხონ გასაბრალო ლაპარაკი. ამ დღეებში ქუთაისში ჩამოიყვანეს ივანე (55 წლის) და გელაზარი (30 წ.) ბახილავები ცოცხალ-მკვდარნი და მიხეილის საავადმყოფოში მოათავსეს, შენგელაიაც გლეხების შეტაკების დროს დაჭრილა.

მ. თ.

ს. ნიკოლაწმინდა (ქუთ. მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს ხალ. სადგურიდან სამი ვერსის მანძილზე. დღემდე ეს სოფელი ყოველმხრივ კულტურულ დაწესებულებებით ღარიბი იყო. [illegible] მაგრამ რევოლუციამ შეატყუა საზოგადოების მოღვაწეობა [illegible]. ხალხიც გამოფხიზლდა და საერთო ფერხულში ჩაება. მაისის პირველ რიცხვებში აქ დაარსდა ს.-დ. ორგანიზაცია. წევრთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. ჩვეულებრივი კრებები ხდება კვირაში ერთხელ, შაბათობით. სოფელში არ გვყავს ძალები, რომლებსაც შეეძლოს გაუწიოს ხალხს დღევანდელი პოლიტიკური საკითხები. სოფელში ინტელიგენტები ნაკლებათ მოიპოვებიან. გადაწყვეტილია სამკითხველოს დაარსება. ერთ კრებაზე არჩეულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც იმედია, ხალხის მოჰკიდებს ხელს საქმის მოწყობისაგანს.

მ. ზ.

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 ს.-მდე.—ვენერიულ-სნეულეთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება, სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთა, სიფილისიანთა, ციებიანებს და სხ. ელექტრონიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყურის [illegible] და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3, (1-ლი სამ. [illegible] ნაწილი). (24—20)

ექიმი

გ. დონხინი

ყოფილი ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკაში იღებს

თვალის ავადმყოფებს,

დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.

მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის აფთიაქის ზევით).

ექიმი ქ. ი. გარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.

ძმების ქუჩა, № 4, [illegible] ტელეფ. 15—00.

კბილის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღის ქ. № 22.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სავენერიული ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ტელეფონი № 5—77.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებების ავადმყოფებს ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდე. გუნიბის ქ. № 41.

ექიმი მ. გ. ბეჟანაძე

ქირურგიულ-გინეკოლოგიურ სამკურნალო კლინიკის [illegible] ნამყოფი იღებს ავადმყოფებს [illegible] და ვენერიული სნეულებებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმის თანაშემწე

მღ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] წამლის შეშხაპუნება, მასაჟი და ელექტრონიზაცია. [illegible] ქუჩა, № 4

მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეჰრაბიანი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ბავშვთა და გულის. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. მუხრანსკის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

პური

პროფესიონალური კავშირის წევრებს, ახალი პურის ბარათების მიღება შეუძლიათ თავისთვის და თავის ოჯახებისთვის თითონ ან რწმუნებულის საშუალებით 28 ოქტომბრიდან ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე პროფესიონალური კავშირის ბიუროში (მეტრე დიდი ქუჩა № 8) [illegible] შაქრის ბარათების წარდგენა.

3—2 ქალაქის სასურსათო გამგეობა.

პური

27 ოქტომბ. დაიწყება ძველი პურის ბარათების ახლებზე შეცვლა. ბარათები გამოიცვლება საუბნო სასურსათო კომიტეტებში და მათ მიერ ნაჩვენებ პურის გასაყიდ ადგილებში.

პურის ბარათის მისაღებათ საჭიროა წარდგენილ იქნას შაქრის ბარათი და ძველი პურის ბარათი.

ყოველ ოჯახში მომხდარ ცვლილებაზე საჭიროა განცხადებულ იქნას ბარათის შეცვლამდე.

განცხადებები ოჯახში მომხდარ ცვლილებების შესახებ მიიღება მხოლოდ საუბნო სასურსათო კომიტეტში.

კოლექტიური ბარათები პურისა მიიღება მხოლოდ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში.

შაქრის ბარათის წარუდგენლათ პურის ბარათს ვერ მიიღებენ.

პურის ბარათის მიცემის შემდეგ მოხდება საცდელი შემოწმება ოჯახის წევრთა რიცხვისა.

ვინც რომ ბოროტმოქმედებაში იქნება შემჩნეული, ბარათებს ჩამოართმევენ და პასუხისგებაში მისცემენ.

5—3 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

სოციალ-დემოკრატიული სტამბა რუსთაველის გამზირი [illegible] № 1